პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 291 (9451) | ხუთშაბათი, 11 დეკემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

დეპუტატი ხალხის მსახურია! — მოწინავე (1-ლი გვერდი).

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები აძლიერებენ მუშაობას წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის (1-ლი გვერდი).

პარტიის კადრები ხელმძღვანელობის გადამწყვეტი ძალაა — «პრავდის» 10/XII მოწინავე (მე-2 გვერდი).

გ. რობაქიძე — საქართველოს მსუბუქი მრეწველობა მეხუთე სტალინურ ხუთწლედში (მე-2 გვერდი).

მოსკოვის ამბები (მე-2 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — დიდი მასალების ნაკრები (მე-3 გვერდი).

ა. კუსრაშვილი — ერთ სასოფლო საბჭოში (მე-3 და მე-4 გვერდი).

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

დეპუტატი ხალხის მსახურია!

დღეს 15 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც დიდმა სტალინმა წარმოთქვა შთამაგონებელი სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე. ბელადის ამ სიტყვას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

დიდმა სტალინმა თავის ამომრჩევლებს, მთელ საბჭოთა ხალხს მიუთითა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, რომლის ვითარებაშიც ხდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, მოკლედ, სხარტად, ამომწურავად დაახასიათა საბჭოთა დემოკრატიის განუზომელი უპირატესობანი ბურჟუაზიული „დემოკრატიის“ მიმართ, დაახასიათა საბჭოთა დეპუტატის პოლიტიკური სახე, რჩევა მისცა ამომრჩევლებს მათი რჩეულის—დეპუტატისადმი დამოკიდებულების შესახებ.

პერიოდი, როცა დიდი ბელადის ეს ისტორიული სიტყვა იქნა წარმოთქმული, საბჭოთა ხალხის უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ხასიათდებოდა. ჩვენი ქვეყანა სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრის წესით პირველად ირჩევდა თავისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. ეს იყო ნამდვილად თავისუფალი, ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, რომლის მსგავსი ისტორიამ მანამდე არ იცოდა.

არჩევნები ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაშიც ხდება. მაგრამ იქ ეს არჩევნები ხდება კლასობრივი შეღლილა და მტრულ შეტაკებათა ვითარებაში, კაპიტალისტების, მემამულეების, ბანკირებისა და კაპიტალიზმის სხვა სვეების მხრივ ამომრჩევლების მიმართ ზეგავლენის ვითარებაში, ისეთ ვითარებაში, როცა ათასგვარი შანტაჟის, მუქარის, მოსყიდვის, ქრთამების, დემაგოგიის, ეკონომიკური ზეგავლენის შედეგად, რეაქციული საარჩევნო კანონების დახმარებით კაპიტალისტები და მემამულეები არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე, წინასწარ უზრუნველყოფენ თავიანთ გამარჯვებას, ხმების გადამწყვეტი უმრავლესობის მოპოვებას და მათთვის სასურველი და გამოსადეგი კანდიდატების არჩევას. ამის საუკეთესო დამადასტურებელი მაგალითია პრეზიდენტის უკანასკნელი არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში, თემთა პალატის არჩევნები ინგლისში და ევროპის მარშალიზებულ ქვეყნებში მომხდარი არჩევნები, როცა უხეშად ითელება მშრომელთა ინტერესები. თუ საარჩევნო კამპანიების დროს ამ ქვეყნებში დეპუტატობის კანდიდატები ელაქუცებიან ამომრჩევლებს, ეფიცებიან ერთგულებას, კვებავენ ათასგვარი დაპირებით, საკმარისია დამთავრდეს არჩევნები და მათთვის უზრუნველყოფილი გახდეს დეპუტატის ადგილი, რომ ურთიერთობა ძირფესვიანად იცვლება. 4-5 წლის განმავლობაში დეპუტატი ინარჩუნებს სრულ დამოუკიდებლობას, აკეთებს იმას, რაც სურს, უპირისპირდება ხალხს, შეუძლია ჩაებას არასაკადრის მაქინაციაშიც, მაგრამ ამაზე იგი პასუხს არ აგებს ამომრჩეველთა წინაშე, ამომრჩევლებს უფლება არა აქვთ პასუხი მოსთხოვონ ასეთ, უკაცრავად პასუხია, დეპუტატებს.

სულ სხვაა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენში არჩევნები ეწყობა სრულიად სხვა ვითარებაში. ჩვენს ქვეყანაში არ არიან კაპიტალისტები, მემამულეები და, თავისთავად ცხადია, არც მქონებელთა კლასის ზემოქმედება არსებობს უქონელთა მიმართ. ჩვენში არჩევნები წარმოებს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის თანამშრომლობის, ურთიერთნდობისა და მეგობრობის ვითარებაში. ჩვენი არჩევნები ბოლომდე დემოკრატიული, ნამდვილად თავისუფალი, ნამდვილად საყოველთაო, ნამდვილად პირდაპირი და ფარული არჩევნებია. ასეთი თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, — ამბობდა თავის ისტორიულ სიტყვაში ამხანაგი სტალინი,— **შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების პირობებში და მის საფუძველზე შექმნილი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის პირობებში. მაგრამ ჩვენში დეპუტატისა და ამომრჩევლების ურთიერთობა არჩევნებით როდი თავდება, როგორც ეს ბურჟუაზიულ ქვეყნებშია. პირიქით, ფაქტიურად მათი ურთიერთობა არჩევნების დღიდან უფრო ფართოვდება. საბჭოთა დეპუტატი,** — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **ხალხის მსახურია და იგი მოვალეა შეასრულოს ის განაწესი, რომელიც მას ხალხმა, ამომრჩევლებმა დაუწესეს, საქმით, თავისი ყოველდღიური მუშაობით გაამართლოს ხალხის ნდობა. სტალინურმა კონსტიტუციამ ხალხს დაუწესა დეპუტატის ვადამდე გაწვევის უფლება. ამომრჩევლებს უფლება აქვთ უკანვე გაიწვიონ დეპუტატი, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა, თუ დეპუტატმა ვერ გაამართლა ხალხის ნდობა.**

საბჭოთა ხალხის რჩეულნი, — ჩვენი **უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, გარემოსილი არიან ამომრჩეველთა, ხალხის ნდობით. მათ არ შეიძლება ჰქონდეთ სხვა ინტერესი და საზრუნავი, თუ არა ხალხის ინტერესი, მათი კეთილდღეობისათვის განუწყვეტელი ზრუნვა. ცხადია, არ შეიძლება ასეთი ადამიანები, ხალხის ასეთი მსახურნი არ უყვარდეს ხალხს და მათ საყოველთაო ნდობით არ მოსავდეს. მაგრამ არის მაგალითები, როცა ერთეული მახინჯები ბოროტად იყენებენ ხალხის ნდობას, არ ასრულებენ მის განაწესს, უპირისპირდებიან ხალხს ინტერესებს. ასეთ მელაკუდებს ხალხი უკანვე იწვევს, ყორანივით ამაოვებს, ნიშნავს ახალ არჩევნებს და ირჩევს იმათ, ვინც თავიანთი მოღვაწეობით და ლენინ—სტალინის დიადი პარტიისადმი, საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულებით ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. სტალინური კონსტიტუციით დაწესებულ ამ შესანიშნავ უფლებას დაუბრკოლებლივ იყენებენ საქართველოს მშრომელები, რომლებიც ამჟამად რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა დამატებითს არჩევნებს ატარებენ.**

თავის ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა დეპუტატის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, როგორც ხალხის ნამდვილი მსახურის შესანიშნავი დახასიათება. „ამომრჩევლებმა, ხალხმა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — **თავის დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავის მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისეთე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისეთე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისეთე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი, რომ მათ ისეთე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს“.**

ხალხის ნამდვილი მსახურის, ლენინის ტიპის ასეთი ბრძენი პოლიტიკური მოღვაწის ნიმუშს წარმოადგენს საბჭოთა ხალხის პირველი დეპუტატი, ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. საბჭოთა ხალხს რჩეულთ მუდამ თვალწინ უნდა ედგეთ ლენინურ-სტალინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწის სახე, რომელიც ასე გენიალურად დაახასიათა ამხანაგმა სტალინმა, და ყველაფერში ბაძავდნენ მას; ხალხის საქმისადმი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულებასა და თავდადებას სწავლობდნენ დიდი სტალინისაგან და ბაძავდნენ მას.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით განუხრელად ახორციელებს პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, წარმატებით ეწევა კომუნიზმის მშენებლობას, კიდევ უფრო იზრდება ბელადის მიერ 15 წლის წინათ წარმოთქმული ისტორიული სიტყვის მნიშვნელობა საბჭოთა დეპუტატის მოვალეობისა და როლის შესახებ ჩვენს ცხოვრებაში. ამხანაგ სტალინის ეს სიტყვა ჩვენს პარტიულ და უპარტიო კადრებს, ყოველ საბჭოთა ადამიანს აღაფრთოვანებს ახალ და ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად კომუნიზმის მშენებლობის მსოფლიო-ისტორიულ საქმეში.

ფინეთში გამოიცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“

ჰელსინკი. (საკდესი). ფინეთში ფინურ ენაზე გამოიცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე. გამოიცა აგრეთვე ამხანაგების ლ. პ. ბერიას და ნ. ა. ბულგანინის სიტყვები პარტიის XIX ყრილობაზე.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები აძლიერებენ მუშაობას წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

1953 წლის ანგარიშში

რუსთავი. (საკ. კორ.). მეოთხე თვეა, რაც სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სამეფლო-საქვაბე საამქრო (უფროსი დ. პეტრიაშვილი) დამხმარე საამქროთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ ინარჩუნებს ქარხნის გარდამავალ წითელ დროშას. ურთიერთშეთანხმებული და მაღალნაყოფიერი შრომით საამქროს კოლექტივმა მიმდინარე წლის საწარმოო დავალება ჯერ კიდევ 20 ნოემბრისათვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა, დაზოგა 65 ტონამდე ლითონი, 272 ათასი მანეთი და ამჟამად პროდუქციას ახალი სტალინური ხუთწლედის მესამე წლის ანგარიშში უშვებს.

საქვაბე განყოფილებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ამწყობი ბრიგადები, რომლებსაც შ. მუმლაძე და ნ. ლვოვი ხელმძღვანელობენ. ეს ბრიგადები დღიურ საწარმოო დავალებებს სულ მცირე 250 პროცენტით ასრულებენ. ასევე მაღალნაყოფიერად შრომობენ მ. ქურციკიძისა და ვ. ტერეშჩენკოს მჭედელთა ბრიგადები.

საამქროში ფართოდ არის გაშლილი მზადება ახალი სამეურნეო წლისათვის, რომ უფრო სწრაფად და ოპერატიულად შეასრულონ მეტალურგიული ქარხნის საამქროთა დაკვეთები.

მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ამთავრებს სამეურნეო წელს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო, რომლის კოლექტივმა საოქტომბრო და სტალინური კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებებში ახალი წარმატებები მოიპოვა.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ამწყობი საამქროს კოლექტივი, რომელმაც ათი თვის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა, ხოლო ნოემბრის დავალებას 26,9 პროცენტით გადააჭარბა. ამის შედეგად ხაზზე ახლა ყოველდღიურად ნორმით გათვალისწინებული 224-ის ნაცვლად 233 ვაგონი მუშაობს. ამავე საამქროში მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან ვ. სუხიშვილის და შ. ვახტანგიშვილის ბრიგადები. ხარატი ა. ვინცკევიჩი, დურგლები ვ. ხორხელი, ი. ჭოგულაშვილი, სალიანდაგო სამსახურის ზეინკლები ს. ჯანეზაშვილი და ვ. ბარსეგოვი გამომუშავების დღიურ ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

ზუსტად იცავენ მოძრაობის გრაფიკს, უავარიოდ მუშაობენ და საგრძნობლად აღიდებენ ტრამვაისა და ტროლეიბუსების შეკეთებათაშორისი გარბენის ვადებს მოწინავე მძღოლები — კომუნისტები ი. ხიზანიშვილი, პ. მღვდლიშვილი, მ. ბურჭულაძე, გ. პოდისოვი, შ. ფხაკაძე, ა. ვორობიოვა, გ. კოლოდიაჟნი და სხვები. მათი ვაგონები და ტროლეიბუსები ყოველთვის კარგად არის მოვლილი და ტექნიკურად გამართული.

ახლა ტრამვაელები იბრძვიან იმისათვის, რომ წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულონ.

წლიური გეგმა 25 დღით ადრე შეასრულეს

ჭიათურა. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის მაქსიმოვის სახელობის მაღაროს კოლექტივს ეჯიბრება, 25 დღით ადრე — 6 დეკემბრისათვის შეასრულა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების წლიური გეგმა.

წლიური დავალების ვადამდე შესრულებისათვის მაღალნაყოფიერად მუშაობდნენ ის უბნები, რომლებსაც ბ. სამხარაძე, გ. ჭოლაძე, ი. ყავაძე, ი. ჩაჩანიძე და ა. კაპანაძე ხელმძღვანელობენ.

თავდადებულად შრომობენ სტახანოველები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ფოფხაძე, მ. ამყოლაძე, ვ. ფოფხაძე, გ. ხარაიძე, ა. კიპაროიძე, ს. ქვათაძე, ა. ზამბახიძე და სხვები, რომლებიც დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებენ. მათ ორი-სამი თვის წინათ შეასრულეს წლიური გეგმები.

ბელადის სახელობის მაღაროს სახელოვანი კოლექტივი მარგანეცს იძლევა მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის ანგარიშში.

ხუთი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციისათვის

მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა მნიშვნელოვანი საწარმოო წარმატებები მოიპოვა — ოთხი დეკემბრისათვის დაგრეხილი აბრეშუმის ძაფის გამოშვების წლიური დავალება გაანაღდა 100,1 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულა 101 პროცენტით.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხიც. პირველი ხარისხის პროდუქცია გეგმით გათვალისწინებული 45,5 პროცენტის ნაცვლად მიღებულია 47,7 პროცენტი. ტექნოლოგიური პროცესების სწორად გატარების შედეგად საგრეხ საამქროში დაზოგილია 718 კილოგრამი ხამი აბრეშუმის ძაფი.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით დაწინაურდა ძაფსაღები საამქრო (უფროსი ე. დოლიძე), რომელმაც წლის მეორე ნახევარში, გარდაქმნა რა თავისი მუშაობა, შეასრულა ხუთი თვის დავალება და მასთან ძირითადად დაფარა წლის პირველი ნახევრის დანაკლისი. საამქროს მიერ აღებული ტემპი იმის გარანტიას იძლევა, რომ წლის ბოლოსათვის ხამი აბრეშუმის ძაფის ამოხვევის წლიური გეგმა შესრულებული იქნება. ამავე დროს საამქრომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ხარისხი.

საამქროში დანერგილია შრომის ახალი მეთოდები. პარკის ორი ხელით მიწოდებას ეუფლება ძაფის ყველა ამომხვევი. პარკის მხარშველთა შორის რაციონალური მეთოდის დანერგვით მიღებულია ნედლეულის ეკონომია. მარტო უკანასკნელ ორ თვეში დაზოგილია ერთ ტონაზე მეტი ხარისხოვანი ნედლეული. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი შრომის ნაყოფიერება როგორც ძაფსაღებ, ისე საგრეხ საამქროში.

ფაბრიკაში დიდი ყურადღება ექცევა ახალი ტექნიკის დანერგვას. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ფაბრიკის საამქროებში დადგმული და ათვისებულია მთელი რიგი მაღალნაყოფიერი მანქანები.

ყველა მონაცემი გვაქვს იმისათვის, რომ ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით დაამთავრებს 1952 სამეურნეო წელს, კიდევ უფრო გაადიდებს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას და წლის ბოლომდე სამშობლოს მისცემს 5 მილიონი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას.

ს. გრძელიძე,
მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის დირექტორი.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საწარმო

სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე მაღალნაყოფიერად მუშაობს სამტრესტის თბილისის კონიაკ-არყის ქარხანა, რომელიც სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საგეგმო დავალებას, ზუსტად იცავს ასორტიმენტს და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. მოპოვებული წარმატებებისათვის მეორე და მესამე კვარტალის საწარმოო შედეგებით საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ ქარხანას მიაკუთვნეს „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საწარმოს“ წოდება და მეორე ფულადი პრემია.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ქარხნის კოლექტივმა იკისრა საერთო და ნატურალური პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა სტალინური კონსტიტუციის დღის — 5 დეკემბრისათვის შეესრულებინა. ნაკისრი ვალდებულება ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა — 4 დეკემბრისათვის ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 31.464 ათასი მანეთის პროდუქციისა, გამოშვებულია 31.501,7 მანეთის პროდუქცია. ამავე დროს ზუსტად დაცულია ასორტიმენტი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ათ თვეში საწარმომ სახელმწიფოს მისცა 90 ათას მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება.

ამ წარმატებათა მოპოვებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი კონიაკის საამქროში ჩამომსხმელ-გამფორმებელთა ვ. გველესიანის და მეკუპაჟეთა გ. მატანერიას, არყის საამქროში კონკავშირელ ლობელაძის ბრიგადებმა, რომლებიც გამომუშავების ნორმებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ და პირველხარისხოვან პროდუქციას უშვებენ.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა სამეურნეო წლის ბოლომდე წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 2.300 ათასი მანეთის პროდუქცია და კვლავაც შეინარჩუნოს „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საწარმოს“ წოდება.

ახალგაზრდების თაოსნობით

ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად თბილისის სამსხმელო-მექანიკურ ქარხანაში ახალგაზრდები გამოვიდნენ.

ამწყობი საამქროს ახალგაზრდებმა — კომკავშირელმა ჯგუფორგმა გ. გოდერძიშვილმა, ლითონსაჭრელი ჩარხის ქვანძის ამწყობი ბრიგადის ბრიგადირმა ს. ახვერდოვმა, ამწყობმა ზეინკლებმა გ. ხურციამ, ვ. დურაშვილმა, ლ. ზმეიკოვმა ვალდებულება აიღეს ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულონ, მათ იკისრეს აგრეთვე დიდი ყურადღება მიაქციონ საწარმოო კულტურის ამაღლებას, სამუშაო ადგილის მომზადებას, მოწყობილობისა და იარაღების მოვლა-პატრონობას. მოწინავე ბრიგადის წევრებმა მოუწოდეს ქარხნის კოლექტივს მიბაძონ მათს მაგალითს.

ამწყობ-ზეინკლების ბრიგადას პირველი გამოეხმაურა მჭედელთა ბრიგადის ბრიგადირი მ. ყველაშვილი.

საამქროებში გამართულ კრებებზე მუშებმა მხარი დაუჭირეს ახალგაზრდების თაოსნობას.

ახლა ქარხანაში თავდადებით შრომობენ აღებული ვალდებულების გაანაღდებისათვის.

მექანიკური საამქროს მრანდავი ვოლკოვი ორი ჩარხიდან სამის მომსახურებაზე გადავიდა და ნორმით გათვალისწინებული ორი სადგარის ნაცვლად დღეში ხუთს ამუშავებს.

სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივი, რომელმაც 7 ნოემბრისათვის შეასრულა მეხუთე ხუთწლედის მეორე წლის დავალება, ახლა მომავალი წლის ანგარიშში უშვებს ლითონსაჭრელ ჩარხებს.

ბათუმელ მეკოფეინეთა შრომითი გამარჯვება

ბათუმი. (საკ. კორ.). კოფეინის ქარხნის კოლექტივი თვიდან თვემდე რიტმულად და მაღალნაყოფიერად მუშაობს. მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა კოფეინის დამამზადებლებმა სასახელოდ გაანაღდეს სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, 1 დეკემბრისათვის შეასრულეს წლიური გეგმა და ამჟამად პროდუქციას მომავალი წლის ანგარიშში უშვებენ.

ბეჯითი და ნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს სტახანოველმა მედიფუზორემ ო. ჩუბინიძემ, მეაპარატეებმა ე. მარინიჩმა და მ. ბოლგარინამ, დამკრისტალებლებმა თ. აძიმბამ, მ. შირკოვამ და ა. ულესკოვამ.

ნოემბრის დავალება 250 პროცენტით გაანაღდა ზეინკლმა პ. ბარსუკოვმა. მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს მ. ჯორბენაძისა და პ. სალდათოვის ცვლებმა.

ბათუმელი მეკოფეინეები არ კმაყოფილდებიან მიღწეულით და განზრახული აქვთ დეკემბერში გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცენ ასი ათასობით მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.



რუსთავი. ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში ქართული ფოლადის სხვადასხვა კალიბრის მილები მზადდება სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის. ამ მილების დიდი ნაწილი კომუნიზმის დიად მშენებლობაზე იგზავნება. **სურათზე:** მილსაგლინავ საამქროს სტახანოველი ბრიგადირი გ. გეგელია ამოწმებს მილებს გამოშვების წინ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

პარტიის კადრები ხელმძღვანელობის გადამწყვეტი ძალაა

დიდი ლენინი აღნიშნავდა, რომ ორგანიზაციულ მუშაობაში მთავარია ადამიანების შერჩევა და შესრულების შემოწმება. ლენინის ამ ბრძნულ მითითებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა თანამედროვე პირობებში, როცა ყოველი საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, პარტიის ხაზის განხორციელებისათვის ბრძოლის ორგანიზაციაზე, ადამიანების სწორ შერჩევაზე, ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაზე.

პარტიის კადრები, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, პარტიის მეთაურთა შემადგენლობაა, ხოლო ვინაიდან ჩვენი პარტია ხელისუფლების სათავეში დგას, — ისინი წარმოადგენენ აგრეთვე ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანოების მეთაურთა შემადგენლობას. მას შემდეგ, რაც შემუშავებულია სწორი პოლიტიკური ხაზი, პრაქტიკით შემოწმებული, პარტიის კადრები პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის გადამწყვეტ ძალად იქცევიან.

მიილო რა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდებული პროგრამა, პარტიის XIX ყრილობამ დასახა ამოცანა: უფრო მაღალ დონეზე იქნას აყვანილი პარტიული ორგანოების მუშაობა კადრების სწორად შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება პარტიის თვითეული წევრისაგან მოითხოვს განუხრელად ახორციელებისათვის პარტიის მითითებებს კადრების სწორი შერჩევის შესახებ მათი პოლიტიკური და ხაქმიანი თვისებების მიხედვით. ამ მითითებათა დარღვევა, ნათქვამია წესდებაში, მუშაკების შერჩევა მეგობრული ურთიერთობის, პირადი ერთგულების, მეზობლობისა და ნათესაობის ნიშნების მიხედვით შეუთავსებელია პარტიაში ყოფნასთან.

კადრების სწორად შერჩევის უნარი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა ხელმძღვანელისადმი, რა პოსტზეც უნდა იყოს იგი. იყო ჩვენს პირობებში ხელმძღვანელი — ორგანიზატორი, ამბობს ამხანაგი სტალინი, ეს ნიშნავს:

„ჯერ-ერთი, — იცნობდე მუშაკებს, გქონდეს უნარი — შეამჩნიო მათი დირსებანი და ნაკლოვანებანი, გქონდეს უნარი—ჯერროვნად მიუდგე მუშაკებს; მეორეც,—გქონდეს უნარი—ისე განაწილო მუშაკები:

1) რომ თვითეული მუშაკი გრძნობდეს, რომ ის თავის ადგილზეა;

2) რომ თვითეულ მუშაკს შეეძლოს მისცეს რეზულტატს მაქსიმუმი ამისა, რის მიცემაც მას საერთოდ შეუძლია თავისი პირადი თვისებების მიხედვით;

3) რომ მუშაკთა ამგვარმა განაწილებამ შედეგად მოგვცეს მუშაობის არა შეფერხება, არამედ მისი მთლიანად შეთანხმებულობა, ერთიანობა, საერთო აღმავლობა;

4) რომ ამგვარად ორგანიზებული მუშაობის საერთო მიმართულება წარმოადგენდეს ამ პოლიტიკური იდეის გამოხატულებას და განხორციელებას, რისთვისაც ხდება პოსტებზე მუშაკთა განაწილება“.

ჩვენს წინსვლასთან ერთად განუწყვეტლივ დიდდება მოთხოვნები კადრებისადმი. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, პარტიულ და სახელმწიფო აპარატში ხელმძღვანელობის საქმეთან უნდა იდგნენ კომუნიზმის საქმისადმი ბოლომდე ერთგული ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე, უნარი შესწევთ შეიტანონ ხიახლე, მხარი დაუჭირონ ყოველივე მოწინავეს, პროგრესულს და შემოქმედებითად განვითარონ იგი. ასეთი მოთხოვნების შესაფერი ადამიანები ჩვენში რამდენიც გნებავთ იმდენია, საჭიროა მხოლოდ დროზე შევარჩიოთ და დავაწინაუროთ ისინი ხელმძღვანელ პოსტებზე.

უნდა ვაღიაროთ, რომ, მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა, რომლებიც მოპოვებულია კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების დარგში, ჩვენ ამ მხრივ ხერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. ჯერ კიდევ არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით კადრების შერჩევის ნაცვლად ადამიანებს აწინაურებენ ოჯახური, მეგობრული, მეზობლური ნიშნების მიხედვით. ამის შედეგად ცალკეულ ორგანიზაციებში იქმნება თავისი ადამიანების ოჯახი, რომლებიც ჯგუფობრივ ინტერესებს პარტიულ, სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა აყენებენ. რაც შეეხება პატიოსან და ხაქმის მცოდნე, მაგრამ მკეთრი და ნაკლოვანებებისადმი შეუფერებელ მუშაკებს, უხეირო ხელმძღვანელები ცდილობენ სხვადასხვა საბაბით მოიცილონ ისინი. ურთიერთთავდებობა, კადრების აღზრდის ნაკადი მეთოდის —კრიტიკისა და თვითკრიტიკის უქონლობა წარმოშობს ავადმყოფურ მოვლენებს, იწვევს გაბრწყინახა და ლპობას. ბოლომდე უნდა უკუვაგდოთ პოლიტიკური უდარდელობის იდეოტური ავადმყოფობა, გამოვიჩინოთ ხაერო სიფხიზლე კადრების შერჩევის ხაქმეში.

ბევრ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მუშაკთა შესწავლისა და შერჩევისადმი კანცელარიული, ბიუროკრატიული მიდგომა. ასეთ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში კადრებზე მსჯელობენ მხოლოდ საანკეტო მონაცემებისა და ფორმალური ცნობების მიხედვით. კადრების შერჩევაში დამკვიდრდა მანკიერი პრაქტიკა, როცა მუშაკს დაუსწრებლად ამტკიცებენ ან ნიშნავენ ისე, რომ ცოცხალი ურთიერთობა არა აქვთ მასთან, რაც ხელს უშლის იმას, რომ ნამდვილად გამოვარკვიოთ ადამიანთა დირსება-ნაკლოვანებანი.

კადრების შესწავლისადმი ფორმალური, ბიუროკრატიული მიდგომა გამოხატულებას პოულობს პირადი ხაქმეების წარმოებითაც. ხშირად ამა თუ იმ მუშაკის პირად ხაქმეში ნახავთ ანკეტას, რომელშიც აღნიშნულია სამხახურის გამოცვლის თარიღები, მაგრამ არაფერია ნათქვამი ამ გამოცვლის მიზეზებზე, ნახავთ რამდენიმე ძველ დახასიათებას, რამდენიმე უბრალო ცნობას, შედგენილს სტანდარტის მიხედვით. სამაგიეროდ პირად ხაქმეში ძნელად ნახავთ ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც მაქსიმალური სიხრულით ახასიათებდეს მუშაკის პოლიტიკურ და ხაქმიან თვისებებს.

კადრების შერჩევისადმი ბიუროკრატიული, კანცელარიული დამოკიდებულება ხელს უშლის ადამიანების სწორად განაწილებას, მათს გამოყენებას მათი პოლიტიკური და ხაქმიანი თვისებების შესაბამისად. ამას მეეურმეტყველურად მოწმობს ალტაის მხარის მაგალითი, სადაც კადრების ზერელედ ცოდნას, მათს ნაჩქარევად, მოუფიქრებლად დაწინაურებას შედეგად მოყვა ის, რომ მუშაკები ხშირად იცვლება. მაგალითად, მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში მხარეში შეცვალეს 654 ხელმძღვანელი მუშაკი. სულ ცოტა ხნის წინათ მხარის პარტიულ ორგანიზაციებში ურიგდებოდნენ კოოპტაციას, რითაც არღვევდნენ შინაპარტიულ დემოკრატიას და აფერხებდნენ ადგილობრივი კადრების ზრდას.

კადრების სწორად შერჩევა ნიშნავს კურსის აღებას ძველი და ახალგაზრდა კადრების შეხამებაზე, შეერთებაზე. ძველ კადრებთან ერთად, რომლებიც დიდ ხიმდიდრეს წარმოადგენენ პარტიისა და ხახელმწიფოსათვის, ჩვენში იზრდებიან მრავალრიცხოვანი კადრები ახალგაზრდა ნიჭიერი მუშაკებისა, რომლებსაც აქვთ ისეთი ძვირფასი თვისება, როგორიც არის ახლის გრძნობა. მარტო უმაღლესი სასწავლებლები ყოველწლიურად უშვებენ მრავალ ათეულ ათას სპეციალისტს მუშაობის სხვადასხვა დარგისათვის. მაგრამ ახალგაზრდა კადრების დაწინაურების საქმეში ჯერ კიდევ ვხვდებით შეუწყნარებელ ხიმხდალეს და გაუბედაობას. არის ისეთი შემთხვევებიც, რომ ხელმძღვანელ პოსტზე დაწინაურებული ესა თუ ის ამხანაგი ივიწყებს თავის მოვალეობას და იმის ნაცვლად, რომ დაეხმაროს ახალგაზრდა კადრების ზრდას, ცდილობს გაემეჯნოს ახალგაზრდა, მზარდ მუშაკებს.

უკრაინის სსრ ვაჭრობის მინისტრად 1950 წლიდან მუშაობს ამხ. ზაპოროჟეცი. მოხდა რა უფრო ნაკლებად პასუხსაგები სამუშაოდან ამ დიდ პოსტზე, ეს ხელმძღვანელი გამედიდურდა, მოსწყდა მასებს, აღარ უდგება ყურს ქვემოდან კრიტიკას. იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა კადრების შერჩევას, აღზრდასა და დაწინაურებას, ჯერიოვნად არ ზრუნავს მათი მუშაობისა და შემოქმედებითი ზრდისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად. ამის შედეგად ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ, რომლებიც 1951 წელს მივიდნენ სამინისტროს სისტემაში, დატოვეს რესპუბლიკის სავაჭრო საწარმოები. ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციების სპეციალისტებით დაკომპლექტების გეგმა 60-70 პროცენტით სრულდება. ახალგაზრდა მუშაკებს არასაკმაოდ აწინაურებენ სამინისტროს აპარატში. გაემეჯნა რა მასებს, მინისტრი ხშირად იჩენს პოლიტიკურ სიბეცეს, დიდ შეცდომებს უშვებს მუშაობაში. მას ჰქონდა სიგნალები კიევის, ოდესისა და რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა ქალაქის სავაჭრო ქსელში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ უგულებელყო ეს სიგნალები. სამინისტროში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი მანკიერი პრაქტიკა, როცა მუშაკები, რომლებმაც ჩაფუშეს მუშაობა, ერთი ხელმძღვანელი პოსტიდან მეორეზე გადაყავთ.

პარტიული ორგანოები ვალდებულნი არიან ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესონ კადრების შერჩევისა და დაწინაურების საქმე და მუდამ ახსოვდეთ თავიანთი პასუხისმგებლობა კადრების აღზრდისათვის. შეიძლება კარგად დავაყენოთ კადრების დაწინაურების, მათი შერჩევისა და განაწილების საქმე, მაგრამ თუ არ ვიზრუნებთ ამ კადრების პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლებისათვის, ნამდვილი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებიდან ისინი შეიძლება გადაიქცნენ უპერსპექტივო საქმოსნებად, რომლებიც ბრმად და მექანიკურად ასრულებენ დაკისრებულ საქმეს, არ შესწევთ უნარი თავიანთი მუშაობა დაუკავშირონ პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს. ცოტა როდია შემთხვევა, რომ კადრების იდეური აღზრდის მივიწყების შედეგად ახალგაზრდა მუშაკებიც კი სწრაფად იქცევიან უწყების მობილებად და აღარ აინტერესებთ ჩვენი წინსვლის პერსპექტივა.

პარტიის მიერ გაწეული დიდი მუშაობის შედეგად კადრების შერჩევისა და დაწინაურების ბაზა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ხელმძღვანელი არ სწავლობს და ვერ ხედავს კადრების არსებულ რეზერვს, დროზე არ ცვლის ახალგაზრდა და ნიჭიერი მუშაკებით იმ მუშაკებს, რომლებმაც მუშაობა ჩაფუშეს, ავიწყდებათ, რომ თუ კადრების ქმედითი რეზერვი არ გვეყოლა, შეუძლებელია ხელმძღვანელობა.

კადრების შერჩევაში ნაკლოვანებანი და შეცდომები მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ ბევრი ადგილობრივი პარტიული ორგანო ჯეროვნად ვერ აფასებს ამ საქმის უდიდეს მნიშვნელობას და ხშირად აკისრებს მას მეორეხარისხოვან მუშაკებს. ამოცანა ის არის, რომ ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება ნამდვილად იყოს მთავარი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა საქმიანობაში.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში მოცემულია მუშაობის გაშლილი პროგრამა მთელი ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის. ამ პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლა მოითხოვს ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ მუშაობა კადრების შერჩევისა და აღზრდის დარგში. კადრების შერჩევა და აღზრდა ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ. ეს არის პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულების საწინდარი.

„პრავდის“ 10/XII მოწინავე.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. კრასნაია პრესნიას მანტულინის ხახელობის რაფინადი შაქრის ქარხნის კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს სოციალისტური შეჯიბრებაში წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. თერმეტი თვის დავალების გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი პროდუქცია. გახული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შაქრის გამოშვება 5.400 ტონით გადიდდა. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ხახარშავი ხაამქრო. წინა პლანზეა მეკამარტე ა. ვ. მალიუტინა, რომელიც ნორმას 180 პროცენტით ასრულებს.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

მოსკოვის ამბები

პარკები ზამთარში

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. („კომუნისტის“ კორ.). დედაქალაქის კულტურისა და დასვენების პარკები ამთავრებენ ზამთრისათვის მზადებას. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მზადდება ყინულის ბილიკები მოკიგურავეებისათვის. საციგურაო მოედნების ფართობი წელს 100.000 კვადრატულ მეტრს მიაღწევს. მზადდება მოედნები ფიგურალური ციგურაობისათვის, ყინულზე ცეკვისათვის, ჩქაროსნული რბენისათვის.

სტალინის სახელობის იზმაილოვის კულტურისა და დასვენების პარკის გაყინულ ტბაზე მალე გაიხსნება 50.000 კვადრატული მეტრი ფართობის საციგურაო. თხილამურების მოყვარულთათვის აქ დიდი რაოდენობით მომზადებულია თხილამურები და სპეციალური ფეხსაცმელი.

მოსკოვის პარკებს ნორჩ მოსკოველთა შესახვედრადაც ამზადებენ. მოწყობილია საბავშვო საციგურაოები, სათხილამურო სადგურები, საბავშვო ლექტორიუმები, „საინტერესო მეცადინეობის“ ოთახები, გამოფენათა პავილიონები, სამკითხველოები.

დიდი საციგურაო მოედანი ბავშვებისათვის მოწყობილია კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. აქ გაიმართება თამაშობანი „ბილიარდი ყინულზე“ და სხვ. ნორჩ ალპინისტთათვის მომზადებულია „მთები“ უღელტეხილებით და ციცაბო აღმართებით. მოწყობილია „ყინულის მშენებელთა“ კლუბი, სადაც მოსწავლეები ააშენებენ საინტერესო ნაგებობებს ყინულის აგურისაგან.

ბავშვებისათვის ბევრი საინტერესო რამ მოეწყო სოკოლნიკის პარკში. აქ არის მარხილების მატარებელი, თოვლის ტირი, საცილის ოთახი, სათხილამურო სადგური 600 ბავშვისათვის და სხვ.

„ლიმონათი“ მ. ლაღიძის რეცეპტურით

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. („კომუნისტის“ კორ.). საქართველოს ლუდ-ლიმონათის ტრესტი გამოსაშვებად ამზადებს ახალ სასმელს „ლიმონათს“ მ. ლაღიძის რეცეპტურის მიხედვით. ეს ახალი მასობრივი სასმელი დაიკავებს 40 პროცენტამდე საბჭოთა კავშირის უალკოჰოლო სასმელების მრეწველობის პროდუქციაში.

გარდა ამისა, გადასინჯულია ამჟამად არსებული რეცეპტურა სხვა სასმელებისაც, როგორიც არის „მსხალი“, „კრემ-სოდა“, „სიტრო“, „შვინდი“, „მანდარინი“ და სხვ. ძირითადად მაღებულია მ. ლაღიძის რეცეპტურა.

ამას წინათ მოსკოვში სტალინის სახელობის ავტოქარხანაში მოეწყო ახალი მასობრივი სასმელის „ლიმონათის“ დეგუსტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქარხნის 120-მდე მოწინავე მუშამ. სასმელმა საუკეთესო შეფასება მიიღო. „ლიმონათის“ და სხვა სასმელების დეგუსტაცია მოეწყო აგრეთვე სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

თბილისის ლიმონათის ძველი ქარხანა გამოყენილია როგორც საცდელი ქარხანა, სადაც მთელი საბჭოთა კავშირის ანალოგიურ საწარმოთა კადრის მუშაკები შეისწავლიან სასმელების კეპაეს ლაღიძის მეთოდით. ამ ქარხნისათვის, აგრეთვე ხილის წყლების ახლად აგებული ქარხნისათვის გამოყოფილია უახლესი მოწყობილობა. 1.600 ათასი მანეთი გათვალისწინებულია ხილის წყლების ახალ ქარხანასთან ხილის წვენის საამქროს ასაგებად. ამ ქარხანაში დამზადებული ხილის წვენით მომარაგებული იქნება საბჭოთა კავშირის უალკოჰოლო სასმელების ყველა საწარმო.

მ. ლაღიძე დანიშნულია სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს „გლავფრუქტპროდის“ მთავარ კონსულტანტად. მას დავალებული აქვს თვალყური ადევნოს მთელ ჩვენს ქვეყანაში უალკოჰოლო სასმელების ხარისხის გაუმჯობესებას.

მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტი ახალ ხუთწლედში

ლიანდაგების განვითარებით და ტვირთბრუნვის ოდენობით მოსკოვის რკინიგზის კვანძი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. ყოველდღიურად მოსკოვის რკინიგზის სადგურებში მოდის ასობით სატვირთო მატარებელი, ათეულ ათასობით ვაგონი გაივლის მოსკოვზე ტრანზიტით.

მეხუთე სტალინურ ხუთწლედში დიდი ამოცანებია დასახული ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის რკინიგზელთა წინაშე. მეოთხე ხუთწლედთან შედარებით თითქმის 45 პროცენტით გაზრდება ტვირთბრუნვა. 40-ზე მეტი პროცენტით გადიდდება მგზავრთა მოძრაობა.

ახალ ხუთწლედში მნიშვნელოვნად იზრდება მოსკოვის რკინიგზის ელექტროფიცირებული ხაზების საერთო სიგრძე. („კომუნისტის“ კორ.).

საქართველოს მსუბუქი მრეწველობა მეხუთე სტალინურ ხუთწლედში

○

გ. როგაძე,

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი.

○

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებული დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

ახალი ხუთწლედი განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას და უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. ამ ხუთწლიანი გეგმის შესრულებით საბჭოთა კავშირის მშრომელები კიდევ უფრო დაიჩქარებენ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სოციალისტური წარმოების მიზანია არა მოგება, არამედ ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი, ესე იგი მისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ ზრუნავს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობაზე, მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

ახალ სტალინურ ხუთწლედში უდიდესი ამოცანები დგას მსუბუქი მრეწველობის მუშაკების წინაშე, კერძოდ ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის წინაშე.

მეხუთე ხუთწლედში საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მიერ საერთო პროდუქციის გამოშვება გადიდდება 58,6 პროცენტით, მათ შორის აბრეშუმის ნაწარმის გამოშვება— 2-ჯერ, შალის ქსოვილების—45 პროცენტით, სამკერვალო ნაწარმის—36 პროცენტით, ტყავის ნაწარმის — 33 პროცენტით, ფეხსაცმლის — 23 პროცენტით, სასარეცხო-საგალანტერეო ნაწარმის — 99 პროცენტით და ა. შ. პროდუქციის საერთო მოცულობა ხუთწლედის ბოლოს მიაღწევს 1.855 მილიონ მანეთს, ნაცვლად 1.178 მილიონი მანეთისა 1950 წელს.

ამ გაზრდილი ამოცანების გადასაჭრელად გაჩაღდება მუშაობა ფაბრიკა-ქარხნების საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებისათვის, აშენდება და მწყობრში ჩადგება მთელი რიგი ახალი ობიექტები, განსაკუთრებით ფართო მასშტაბით გაიშლება საქმიანობა უკვე არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის, ახალი სრულყოფილი ტექნიკითა და მოწყობილობით შეივსება მათი სამანქანო პარკი.

თბილისში, ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, აუცილებელი გახდა ქეჩის, ფეხსაცმლის № 1, სამკერვალო № 2 და საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკების აღება. სამაგიეროდ ახალ ხუთწლედში ქეჩისა და პლასტ-რეზინის ფაბრიკები აიგება ზულავერში, ხოლო საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა—თბილისში. ქეჩის ფაბრიკის მშენებლობა დამთავრდება 1953 წელს. იგი 4-ჯერ უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე თბილისის ქეჩის ყოფილი ფაბრიკა.

აბრეშუმის ქსოვილების ასორტიმენტის გაუმჯობესებისა და კრეპის ჯგუფის ქსოვილების გამოშვების გადიდების უზრუნველსაყოფად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ქალაქ წულუკიძეში მძლავრი აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკის მშენებლობა, მისი აგება დაიწყო 1951 წელს და დამთავრდება 1954 წელს.

უახლოეს წლებში საქართველოში გათვალისწინებულია აბრეშუმის პარკის დამზადების საგრძნობლად გადიდება. ცხადია, არსებული ფაბრიკები ვერ უზრუნველყოფენ პარკის ასე დიდი რაოდენობის გადამუშავებას. ამიტომ მიმდინარე ხუთწლედში ქალაქ ცხაკაიაში დაიწყება აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მშენებლობა, რომელსაც ექნება რამდენიმე ათეული ძაფსახვევი აუზი.

1953 წლიდან დაიწყება ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის გაფართოება, რაზეც მრავალი ათეული მილიონი მანეთი დაიხარჯება. კომბინატთან აიგება ახალი საქსოვი ფაბრიკა ასობით დაზგით, ცხრაჯერ გაიზრდება ძაფსაგრეხ ფაბრიკაში თითისტრების რაოდენობა, საგრძნობლად გაფართოვდება აგრეთვე სართავი წარმოება. რეკონსტრუქციის შემდეგ კომბინატის საქსოვი წარმოება გაიზრდება 212 პროცენტით, საგრეხი — 890 პროცენტით და ძაფსართავი — 460 პროცენტით. ამრიგად, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი საბჭოთა კავშირის აბრეშუმის მრეწველობის ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოდ იქცევა.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის გაფართოებისა და რესპუბლიკაში აბრეშუმის ხამი ქსოვილის გამოშვების თითქმის ორჯერ გადიდების გამო, მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია დაიწყოს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სამღებრო-გამომყვანი წარმოების შემდგომი რეკონსტრუქცია, რის შედეგად იგი გადაამუშავებს ქუთაისსა და თბილისში გამოშვებულ ხამ ქსოვილს წელიწადში ორჯერ მეტს, ვიდრე ამჟამად.

თბილისის კამვოლ-მაუდისა და ქუთაისის მაუდის ფაბრიკების რეკონსტრუქცია, რომელიც ძირითადად მომავალ წელს დამთავრდება, ერთიორად გაზრდის მათს საწარმოო სიმძლავრეს. დაიდგმება სხვადასხვა სახის ახალი, მექანიზებული მოწყობილობა, მათ შორის ინჟინერ კოზლოვის სისტემის შენაზავის დამამზადებელი მანქანები. ისინი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებენ შენაზავის დამზადების ხარისხს, გააადვილებენ შრომას, მძიმე ფიზიკური სამუშაოსაგან გათავისუფლებენ ათობით მუშას. განხორციელდება მოსამზადებელიდან საჩენ-სართავ განყოფილებებში ნედლეულის მიწოდების მექანიზაცია.

შალეულის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრე გაიზრდება 80-ზე მეტი საქსოვი დაზგით, ხოლო სართავი მრეწველობისა — 9 ათასზე მეტი თითისტრით. აქედან 4.410 თითისტარი მიმდინარე წლის ბოლომდე ამუშავდება.

ახალ ხუთწლედში გაფართოვდება ცხაკაიას ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა, რომლის ექსპლატაცია 1950 წელს დაიწყო. რეკონსტრუქციის შემდეგ ფაბრიკას ექნება მოსამზადებელი, სამღებრო, საჩეჩავ-სართავი, საგრეხი განყოფილებები და გადაიქცევა კომბინატად.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება თბილისის ტყავის № 1 ქარხანა. გაფართოების შედეგად ქარხნის სიმძლავრე 1950 წელთან შედარებით წლიურად ათასი ტონა საპირე ტყავით გადიდდება. რეკონსტრუირებულ იქნებიან აგრეთვე თბილისის № 2 და ბათუმის ტყავის ქარხნები.

მომდინარე ხუთწლედის ანგარიშში უკვე აშენდა მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი საწარმო და განხორციელდა ცალკეული ფაბრიკების რეკონსტრუქცია. 1952 წელს თბილისში აიგო სასარეცხო-საგალანტერეო ფაბრიკა. 1952 წელს ჩატარდა ზოგიერთი სამკერვალო ფაბრიკის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: ფართოდ დაინერგოს სასურსათო და სამრეწველო საქონლის წარმოების პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია. მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის დირექტივებით გათვალისწინებული ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის სამინისტროს საწარმოებში ფართოდ იქნება გამოყენებული სამუშაოთა მექანიზაცია, ამუშავდება ახალი დაზგა-დანადგარები.

ხუთწლედის მანძილზე აბრეშუმის მრეწველობაში დაიდგმება პარკის დამზარისხებელ-საყალიბო, საგრეხ-საორფეველი მანქანები, რომლებიც ამცირებენ გრეხვის დროს და აჩქარებენ საწარმოო პროცესის შესრულებას. აგრეთვე დაიდგმება დიდი სისწრაფის ისეთი მანქანები, რომლებიც ჩვეულებრივთან შედარებით ორჯერ ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში ათვისებულ იქნება ასობით ავტომატური საქსოვი დაზგა და მაღალნაყოფიერი სამასრე მანქანა. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სამღებრო-გამომყვან წარმოებაში მთლიანად დამთავრდება ყველა საჭირო მოდერნიზებული მანქანის დადგმა.

თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკაში 1953 წელს დადგმული ავტომატური საქსოვი დაზგები წარმოებას საშუალებას მისცემენ მოქსოვოს საკოსტიუმე შალის ძვირფასი ქსოვილები. საგრძნობლად გაუმჯობესდება ქსოვილის გარეგნული სახე, მისი ხარისხი.

მთლიანად კონვეიერიზებულ იქნება სამი ძირითადი სამკერვალო ფაბრიკა. 16-ის ნაცვლად მოეწყობა 48 კონვეიერი. ყველა მთავარი სამკერვალო საწარმო გადავა ორცვლიან მუშაობაზე. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ საწარმოო სიმძლავრეები. პროდუქციის ხარისხისა და გარეგანი გაფორმების გაუმჯობესების მიზნით 1953 წელს მოეწყობა და ათვისებულ იქნება სპეციალური საქარგავი აგრეგატი, რომელიც შესაძლებელს გახდის ქალის აბრეშუმის, შალისა და ბამბის კაბების, ხალათებისა და ბავშვის ტანსაცმლის მოქარგვას. სამკერვალო მრეწველობაში ძველი მანქანები მთლიანად შეიცვლება ახალი სწრაფმკერავი მანქანებით.

მეხუთე ხუთწლედში დიდი ყურადღება მიექცევა ტყავეულობის ხარისხის გაუმჯობესებას, რისთვისაც ქარხნებში დაიდგმება სპეციალური მანქანები, რომლებიც აამაღლებენ ტყავის ხარისხსა და შეამცირებენ დანაკარგებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ტყავის მკვიდრად შეღებვას. ახალი ავტომატური მანქანები აგრეთვე დაიდგმება ფეხსაცმლის მრეწველობაში.

ხუთწლიანი გეგმის დირექტივები მიგვითითებენ, რომ „გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს ასორტიმენტი, აგრეთვე გადიდდეს დეფიციტური სახეობისა და ხარისხების პროდუქციის წარმოება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების შესაბამისად“.

საწარმოთა რეკონსტრუქცია, ახალი ტექნიკის დანერგვა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი, შევქმნათ მრეწველობის ახალი დარგები.

1953 წლიდან დაიწყება მოსამზადებელი მუშაობა თბილისის ბამბის ძაფსართავი ფაბრიკის გადასაყვანად ხელოვნური აბრეშუმის ნართის გამოშვებაზე. ამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ შეეძლებთ ნაწილობრივ მანიც დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის აბრეშუმის მრეწველობა ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილების გამოსაშვებად საჭირო ნართით.

აბრეშუმის მრეწველობა აითვისებს ახალი ქსოვილების — კრეპ-ფაის, ზოლიანი კრეპ-დეშინის, ეპონჟის, აბრეშუმის სატინის, კრეპ-არმიურისა და სხვა აბრეშუმეულის გამოშვებას. შალეულის მრეწველობა ითვისებს ახალ საპალტოე დრაფს „მაიგას“, ქალის საპალტოეს „გაზაფხულის ტრიკოს“ და სხვ. გადიდდება მოდელური ფეხსაცმლის, ბავშვის ღია და ლაქის ფეხსაცმლის შეკერვა, აგრეთვე გამოშვებული იქნება ველიურისა და ლაქის მაღალხარისხოვანი ტყავი. საგრძნობლად გაიზრდება სამკერვალო მრეწველობის ნაწარმის ასორტიმენტი, ამისათვის ძირფესვიანად გარდაიქმნება სამოდელო სახლის მუშაობა.

გათვალისწინებულია ხუთწლედის მანძილზე მუშის შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს სულ ცოტა 30 პროცენტით, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირდეს 6 პროცენტით. დიდი ყურადღება მიექცევა კადრების მომზადებას და მუშათა ტექნიკურ სწავლებას. ხუთწლედის ბოლომდე მომზადებულ და გადამზადებულ იქნება 8.000-მდე მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა სიმძლავრის გაფართოებასთან ერთად ახალ ხუთწლედში მნიშვნელოვნად იზრდება კაპიტალდაბანდებანი საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის. აშენდება 27 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც 15 ათასი კვადრატული მეტრით აღემატება წინა ხუთწლედში აგებულ ფართობს.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ გაწეული ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

მეხუთე ხუთწლედის პირველი — 1951 წელი სამინისტროს საწარმოებმა წარმატებით დაამთავრეს და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 68 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, მათ შორის: 426 ათასი მეტრი შალისა და 201 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, 67 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 88 ტონა საძირე ტყავი, 117 ტონა ბამბა და სხვ. თ

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დიდი მსახიობის ნაამაგარი

ქართული თეატრის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სცენის გამოჩენილ მოღვაწეთა ნაშრომების შეკრების, დამუშავებისა და გამოცემის საქმეს. ამ საჭირო საქმის განხორციელებას უკვე შეუდგა გამომცემლობა „ხელოვნება". მან გამოსცა პირველი წიგნი — „ვასო აბაშიძე" სერიიდან „ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ".

ამ წიგნში თავმოყრილია ყველა მასალა, რაც დაუწერია ვ. აბაშიძეს თეატრალური ხელოვნების შესახებ და რაც დიდ მსახიობზე დაუწერიათ სხვადასხვა დროს. ამ თვალსაზრისით საგრეცენზიო კრებულს თვალსაჩინო მნიშვნელობა ენიჭება ქართული თეატრის ისტორიის მასალების გამდიდრების საქმეში.

წიგნი იხსნება დ. ჯანელიძის წერილით „დიდი ქართველი რეალისტი მსახიობი". ავტორი მკითხველს აცნობს ვ. აბაშიძის მდიდარი სასცენო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელობას.

ვ. აბაშიძის შეხედულებანი თეატრალურ ხელოვნებაზე, სამსახიობო ოსტატობაზე, რაც წიგნში საკმაოდ არის თავმოყრილი, ცხადყოფენ თუ რა დიდია ვ. აბაშიძის ღვაწლი ქართულ სცენაზე რეალიზმის განმტკიცების დიდმნიშვნელოვან საქმეში.

დიდმა მსახიობმა თავისი შემოქმედებითი მუშაობის გამოცდილება გააზოგადა ნარკვევში „მოკლე ცნობანი დრამატული ხელოვნების შესახებ". ეს ნარკვევი უმთავრესად მსახიობის აღზრდის უმნიშვნელოვანეს საკითხებს აშუქებს და ამდენად მას ახლაც არ დაუკარგავს შემეცნებითი ღირებულება. აღსანიშნავია, რომ ვასო აბაშიძის შეხედულებანი სასცენო ხელოვნებაზე ძირითადად ემთხვევა რუსული თეატრის კორიფეების—შჩეპკინისა და სტანისლავსკის აზრებს.

ვ. აბაშიძე როლის განსახიერებისას დიდ ყურადღებას აქცევდა შინაგან განცდას, მოითხოვდა, რომ მსახიობს სწორად აესახა სინამდვილე. ვ. აბაშიძის მოთხოვნა და შეხედულებანი სავსებით გამომდინარეობდნენ ცხოვრების სინამდვილიდან, მისი ჯანსაღი რეალისტური აზროვნება გამოხატული იყო სამსახიობო ხელოვნების რეალისტურ შეთოდში.

ვ. აბაშიძე მიუთითებდა თეატრის დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე. „თეატრი ერთი საუკეთესო იარაღია ერის სულისა და გულის გასამშვენიერებლად, მისი ზნეობისა და ბუნების ესთეტიური აღზრდისათვის", ვინაიდან თეატრი სახალხო ტრიბუნაა, საიდანაც შეიძლება იქადაგო ადამიანის მშვენიერ გრძნობებზე, ეპოქის მოწინავე იდეებით აღანთო მაყურებელი. ამიტომაც ვ. აბაშიძე მოითხოვდა მსახიობი აღზრდილიყო მებრძოლ ტრიბუნად, ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირულ მებრძოლად.

ვ. აბაშიძეს ღრმად ჰქონდა შეგნებული ის ჭეშმარიტება, რომ მსახიობისა და თეატრის შემოქმედებითი განვითარების საფუძველს მაღალიდეური და მაღალმხატვრული რეპერტუარი წარმოადგენს. „გონიერი მსახიობი შეიძლება მხოლოდ კარგი რეპერტუარის წყალობით შემუშავდესო", — წერდა იგი.

ვ. აბაშიძეს ღრმად უყვარდა ქართული თეატრი და ამიტომაც მოითხოვდა მსახიობისაგან ქართული ენისა და ქართული მწერლობის პატივისცემას. მისი სიტყვები ცხოველი ძალით ისმის დღესაც: „ქართული ენა ისეთი კილოიანი და დასურათებული ენაა, განსაკუთრებით ზოგიერთ ნიჭიერ მწერალთა თხზულებებში, რომ არა თუ როლის უცოდინარობა, არამედ გადასხვაფერებაც კი დიდ ცოდვად და უმეცრებად ჩაითვლება მსახიობის მხრივ" (გვ. 33).

წიგნში თანმიმდევრულად განხილულია მსახიობის ეთიკის, მართლმეტყველების, გარდასახვის, დაკვირვების, გრიმის, ტანისამოსისა და სხვა საკითხები.

უტყუარ ჭეშმარიტებად მიიჩნდა ვ. აბაშიძეს ის დებულება, რომ მხოლოდ და მხოლოდ ხანგრძლივი და ბეჯითი შრომის, თავისი პროფესიისადმი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის შედეგად შეიძლება მსახიობი გახდეს ნამდ**ვილ**ი ხელოვანი.

წიგნის ცალკე განყოფილებას წარმოადგენს თავი—„ვასო აბაშიძე როლებში". აქ მოყვანილი მასალებიდან ნათლად მტკიცდება, რომ ვ. აბაშიძის შემოქმედებითი დიაპაზონი საკმაოდ დიდი იყო და არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა შემოზღუდული მხოლოდ კომიკური ამპლუით. ვ. აბაშიძე მონაწილეობდა ილიასა და აკაკის, ა. ცაგარელისა და ა. სუმბათაშვილიუკანის, გრიბოედოვისა და გოგოლის, ოსტროვსკისა და სუნდუკიანის, გოლდონისა და მოლიერის პიესებში.

ვ. აბაშიძე მეგობრობდა დიდ რუს მსახიობებთან. შესანიშნავ ქართველ მსახიობს მისი შემოქმედების 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობებმა დიდი სიყვარულით მოსალოცი ბარათი გამოუგზავნეს.

დიდი ქართველი მსახიობის ღვაწლი ნამდვილად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაფასდა. ქართველ მსახიობთა შორის მას პირველს მიენიჭა სახალხო არტისტის წოდება.

სარეცენზიო წიგნს დართული აქვს ვრცელი შენიშვნები. კრებული, რომლის შემდგენლები და შენიშვნების ავტორები არიან დ. ჯანელიძე და ა. გაწერელია, აცნობს მკითხველს ქართული სასცენო რეალიზმის ფუძემდებლის ვ. აბაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას, იძლევა დიდი მსახიობის შემოქმედებითი სახის დახასიათებას.

ნ. გურაბანიძე,
ვ. კიკნაძე.

წიგნი სოფლად

სტალინირი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო სოფელში სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება წიგნზე. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სოფლის ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში მატულობს წიგნის ფონდი. მარტო მიმდინარე წელს ბიბლიოთეკა-სამკითხველოების შესაფასებად შეძენილია 100 ათასი მანეთის პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა. ამას წინათ ახალი სასოფლო ბიბლიოთეკები გაიხსნა ჯავის რაიონის შორეულ სოფელ ხართისარში, სტალინირის რაიონის სოფელ ერედვში და ლენინგორის რაიონის სოფელ ახმაჯში.

დ. პანტოფელ-ნეჩეცკაიას და ნ. შტარკმანის კონცერტები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში კონცერტების ციკლით გამოდიან გამოჩენილი საბჭოთა კამერული მომღერალი, სტალინური პრემიის ლაურეატი, რსფსრ დამსახურებული არტისტი დ. ი. პანტოფელ-ნეჩეცკაია და პიანისტი ნ. ლ. შტარკმანი.

დ. ი. პანტოფელ-ნეჩეცკაიას ქართველი მსმენელი კარგად იცნობს. იგი ეკუთვნის იმ შესანიშნავ შემოქმედთა რიცხვს, რომლებთანაც შეხვედრა მსმენელს მუდამ სიხარულს ანიჭებს.

მომღერალს აქვს ლამაზი ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო. მაღალ ვოკალურ ტექნიკას, რომელსაც სრულყოფილად ფლობს მომღერალი, იგი უქვემდებარებს გამომსახველობისა და ნაწარმოების მხატვრული ჩანაფიქრის გადმოცემას. ამიტომ დ. პანტოფელ-ნეჩეცკაიას საშემსრულებლო სტილს, მის პრწყინვალე ოსტატობას საერთო არა აქვს რა იმ ცივ ვირტუოზულ ტექნიციზმთან, რაც ძირითადად ახასიათებს დასავლეთევროპელ მომღერლებს.

სწორად ესმის რა კამერული შესრულება, როგორც ვოკალური ხელოვნების თავისებური ჟანრი, მომღერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვას, მსმენელამდე მის მიტანას. დ. პანტოფელ-ნეჩეცკაიას ხელოვნების ყველა ეს ძვირფასი თვისება საშუალებას აძლევს შეასრულოს რომანსების, სიმღერებისა და საოპერო არიებისაგან შემდგარი მრავალფეროვანი, საინტერესო პროგრამა.

შესანიშნავად ასრულებს დ. პანტოფელ-ნეჩეცკაია რახმანინოვის რთულ „ვოკალიზს" და გლუკის „მელოდიას" ოპერა „ორფეოსიდან". ოპტიმისტური რომანტიზმით არის აღსავსე მის მიერ შესანიშნავად შესრულებული რახმანინოვის ცნობილი რომანსი „აქ კარგია". დიდი განწყობილებით მღერის დ. პანტოფელ-ნეჩეცკაია ჩაიკოვსკის „ნანას", შოსტაკოვიჩის „დაიძინე, ჩემო კარგოს", ბრუსილოვსკის „ორ მერცხალს", ქართულ სიმღერას „მხოლოდ შენ ერთს" და ძველებურ ფრანგულ რომანსს „მოვა გაზაფხული". დ. პანტოფელ-ნეჩეცკაიას შემოქმედებით გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე მის მიერ შესრულებული არიები ვერდის „ტრავიატადან" და „რიგოლეტოდან", აგრეთვე ბელინის „პურიტანელებიდან".

საინტერესო შემოქმედად გამოავლინა თავი ახალგაზრდა პიანისტმა ნაუმ შტარკმანმა. მოსკოვის კონსერვატორიის აღზრდილმა, პროფესორ იგუმნოვის მოწაფემ, მან შესანიშნავად შეითვისა საბჭოთა პიანისტური სკოლის ძირითადი ტრადიციები. მისი შესრულება განირჩევა სისადავით, გადმოცემის მკაფიობით, მაღალი ტექნიკური ოსტატობით. ნ. შტარკმანის არტისტული ინდივიდუალობის მრავალფეროვნება მეოცნებეობა ბეთჰოვენის „მთვარის სონატის" ღრმა შთანაფიქრის სწორ ვაგებაში, რახმანინოვის პრელუდიების შესანიშნავ გადმოცემაში, ლისტისა და სკრიაბინის დიდი ტემპერამენტით შესრულებულ ეტიუდებში.

დ. პანტოფელ-ნეჩეცკაიას და ნ. შტარკმანის კონცერტებს დამსახურებული წარმატება ხვდათ.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ფილარმონიის დირიჟორის მიერ შემოღებული ერთი უცნაური „სიახლე", რომელმაც კონცერტის მსმენელთა დიდი გაკვირვება გამოიწვია. 7 დეკემბერს ფილარმონიის საზამთრო თეატრში ანტრაქტის დროს ფოიეში გაიმართა საერთო ცეკვა საესტრადო ორკესტრის თანხლებით. ეს „სიახლე" პრინციპულ განხილვას მოითხოვს. საინტერესოა, რა საერთო აქვს სერიოზულ კამერულ კონცერტთან მსმენელთა ასეთ „გართობას"?

ლ. ხაზარაძე.

თეატრალური დადგმების საუკეთესო გაფორმებისათვის

სპექტაკლის განსახიერების დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის მხატვრულად გაფორმებას. კარგად შესრულებული დეკორაცია ქმნის პიესისათვის სათანადო ფონს და ეხმარება მსახიობს მოგვცეს დამაჯერებელი სახე ტიპიურ გარემოში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული თეატრალური მხატვრობა ვერ აკმაყოფილებს მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებას. ხშირად ვხედავთ უფერულ, ყალბ, გემოვნებას მოკლებულ სუსტ დეკორაციებს, რაც აქვეითებს სპექტაკლის ხარისხს. დეკორაციების დახატვას ზოგჯერ ხელს ჰკიდებენ სრულიად მოუმზადებელი ადამიანები.

ამ საკითხის განხილვას მიეძღვნა სხდომა, რომელიც 8 დეკემბერს გაიმართა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში. სხდომას დაესწრნენ დედაქალაქის მსახიობები, რეჟისორები, გამოჩენილი მხატვრები.

მოხსენება თემაზე — თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება საქართველოში — გააკეთა დ. ჯანელიძემ.

მომხსენებელმა ილაპარაკა ჩვენს თეატრალურ მხატვრობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და აღნიშნა, რომ მთელი რიგი მოწინავე მხატვრები გულგრილად ეკიდებიან ამ საკითხს, არ ეხმარებიან თეატრებს პიესისათვის შესაფერი სრულყოფილი დეკორაციების შექმნაში. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკის რაონულ ცენტრებში, სადაც დეკორაციებს შემთხვევითი პირები ასრულებენ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ვასაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა დ. ანთაძემ, ე. სატინამ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა მ. კვალიაშვილმა, კ. კუკულაძემ, პროფესორმა ა. ფაღავამ, მხატვარმა — სტალინური პრემიის ლაურეატმა დ. თავაძემ, გ. ბერძენიშვილმა. მათ წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი თეატრალური მხატვრობის საქმის გაუმჯობესებისათვის.

კინოსეანსები მოსნავლეთათვის

თბილისის კინოთეატრი „კომკავშირელი" საკავშირო ფესტივალთან დაკავშირებით 1-დან 31 დეკემბრამდე ატარებს სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტალური ფილმების ჩვენებას, რაც დაეხმარება სკოლებს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის უკეთ ათვისების საქმეში.

თემაზე „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური" 14 დეკემბრამდე ნაჩვენები იქნება ფილმები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა რესპუბლიკებისა და მხარეების — აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და დაღისტნის ხალხების თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას.

საინტერესო ფილმების სერიას თემაზე „პარტიისა და მთავრობის ზრუნვა საბჭოთა ადამიანების ფიზიკური აღზრდისათვის", რომელშიც შედის ფილმები „სპორტული ღირსება", „კოლმეურნე ფიზკულტურელები", „სსრ კავშირის პირველობა საცხენოსნო სპორტში", „სპორტული ტანვარჯიში", ახალგაზრდა მაყურებელი ამ კინოთეატრში ნახავს 15-დან 21 დეკემბრამდე.

მშვიდობისათვის ბრძოლის საქმისაღმი მიძღვნილი ფილმების სერია ნაჩვენები იქნება 22-დან 25 დეკემბრამდე. ფილმებს—„მშვიდობის დროშით", „მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს", „მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე", „მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში", „მოსკოვი ხმას აძლევს მშვიდობის პაქტს" წაამძღვარება ლექცია „საბჭოთა ხალხი მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში".

დასასრულ, 26-დან 31 დეკემბრამდე მთელი რიგი კინოფილმები გააცნობენ მაყურებელს მოსკოვის მშენებლობებს, თეთრ ზღვას, საბჭოთა ლიტვას, თურქმენეთს, ჩუვაშეთს და სხვ.

კინოთეატრი სკოლებს უფასოდ უთმობს დილის სეანსებს სკოლის მიერ შეკვეთილ თემაზე. ამ ფილმებს წაამძღვარება მასწავლებლის საუბარი.

გარდა ამისა, 14, 21 და 28 დეკემბერს გაიმართება დილის უფასო სეანსები, რომლებზეც ნაჩვენები იქნება ფილმები „საბჭოთა საქართველო", „ინდოეთი" და „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა".

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი

პარიზი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პლენუმმა მიიღო ოთხი რეზოლუცია: საერთო რეზოლუცია, რეზოლუციები პარტიის ეროვნული კონფერენციის მოწვევის შესახებ, ანდრე მარტისა და შარლ ტიეინის მიმართ სანქციების შესახებ, ტუნისის საკითხზე.

პლენუმის დახურვის წინ სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟაკ დიუკლომ.

დღეს გაზეთმა „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა პლენუმის მიერ მიღებული სამი რეზოლუცია.

რეზოლუციაში ტუნისის საკითხზე პლენუმი „კვლავ გმობს კოლონიური ძალადობისა და სიმკაცრის პოლიტიკას, რომელიც ტუნისში ხორციელდება, გამოთქვამს საფრანგეთის მუშათა კლასის სრულ სოლიდარობას ტუნისელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი, პატივს სცემს იმპერიალისტური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნას, და კერძოდ, ტუნისელ მშრომელთა საყოველთაო კავშირის გენერალური მდივნის ფარჰად ჰაშედის ხსოვნას, კვლავ აცხადებს, რომ ერთადერთი გადაწყვეტა ტუნისის პრობლემისა, რომელიც აშკარად წარდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად, იქნება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი ტუნისელი ხალხის კანონიერი მისწრაფების დაკმაყოფილება, რაც შესაძლებელს გახდის იმას, რომ ორ ქვეყანას შორის დამყარდეს თანასწორუფლებიანი ეკონომიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობა, როგორიც შეესაბამება ტუნისელი ხალხისა და ფრანგი ხალხის ინტერესებს".

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მოწვეულ იქნას პარტიის ეროვნული კონფერენცია მარტის პირველ ნახევარში.

პლენუმმა განიხილა ლეონ მოვეს მოხსენება „ანდრე მარტისა და შარლ ტიეინის ფრაქციული საქმიანობა". ეს საკითხი, როგორც ცნობილია, იდგა წინა პლენუმზეც, რომელიც სექტემბრის დამდეგს გაიმართა. იმასთან დაკავშირებით, რომ მარტი და ტიეინი ამბილეს ფრაქციულ საქმიანობაში, ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა ერთსულოვნად გამოიყვანა ტიეინი პოლიტბიუროს შემადგენლობიდან და გათავისუფლა მარტი ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ავალებდნენ მარტისა და ტიეინს დასდგომოდნენ თვითკრიტიკის პატიოსან და აშკარა გზას. პარტიაში გაიმართა დისკუსია, რომლის დროსაც პარტიულ უჯრედებში ფართოდ განიხილავდნენ პლენუმის გადაწყვეტილებებს. როგორც გაზეთ „ლუმანიტეში" გამოქვეყნებული მასალები მოწმობენ, საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ ერთსულოვნად მოიწონა ეს გადაწყვეტილებანი.

მაგრამ მარტი და ტიეინი, მიუხედავად წინათ მიცემული დაპირებისა, არ დაადგნენ პარტიის წინაშე თავიანთი დანაშაულის პატიოსნად და აშკარად აღიარების გზას.

უფრო მეტიც, ისინი ცდილობდნენ მოეტყუებინათ პარტია, ფარავდნენ და ნიღაბადნენ რა თავიანთ ანტიპარტიულ ფრაქციულ მოქმედებას.

დამატებითმა მასალებმა, რომლებიც დისკუსიის მსვლელობაში გამოაქვეყნა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ცხადყვეს, რომ მარტი და ტიეინი უკვე მრავალი წლის განმავლობაში ეწევიან ფრაქციულ ბრძოლას პარტიის ხაზის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ ომის დროს აყენებდნენ ისინი პარტიას მომემარცხენო ავანტიურისტული მოქმედების გზაზე, რომელსაც შეეძლო გამოწვია მხოლოდ საფრანგეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხება და განადგურება. შემდეგ ისინი ცდილობდნენ დაეფცარებინათ საფრანგეთის კომპარტიისა და მორის ტორეზის შეთაურობით მისი ხელმძღვანელობის როლი ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის პერიოდში. მარტისა და ტიეინს, როგორც აღნიშნული იყო საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს 3 ოქტომბრის განცხადებაში, „ჰქონდათ ტენდენცია დაემცირებინათ საბჭოთა კავშირის როლი საფრანგეთის განთავისუფლებაში". „ასეთი შეხედულებანი, — ნათქვამია შემდეგ პოლიტბიუროს განცხადებაში, — შეიძლებოდა მხოლოდ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ბაზაზე წარმოშობილიყო".

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1947 წლის ცნობილი თათბირიდან შემდეგ ანდრე მარტი არ დაეთანხმა თათბირის გადაწყვეტილებებს და ამ თათბირის მიერ საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებას. „იმახანაგ მორის ტორეზის მოხსენების წინააღმდეგ ანდრე მარტი მეორე პლენზე აყენებდა ამერიკული იმპერიალიზმისადმი საფრანგეთის დამორჩილების ფაქტს, სათანადოდ არ აფასებდა მემარჯვენე სოციალისტთა ბელადების, როგორც ამერიკელი იმპერიალისტების იარაღის, როლს", — ნათქვამია საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში.

შარლ ტიეინი ილაშქრებდა საფრანგეთში მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის გაფართოების წინააღმდეგ. მარტი და ტიეინი ხალხის ფართო მასებისაგან პარტიის იზოლაციის, მასებთან პარტიის კავშირისათვის ძირის გამოთხრის გეზს ადგნენ.

ამავე დროს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ მარტის პირადი ურთიერთობა აქვს პოლიციის ელემენტებთან.

დამახასიათებელია, რომ მარტი და ტიეინი არ გამოცხადდნენ საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

პლენუმმა დაადგინა:

„1. გადაყენებულ იქნას ანდრე მარტი ყველა ხელმძღვანელი ფუნქციის შესრულებისაგან და მოიხსნას ყველა პოსტიდან პარტიაში, მაშასადამე, გადაყენებულ იქნას პარტიის პოლიტბიუროს და ცენტრალური კომიტეტის წევრის ფუნქციათა შესრულებისაგან.

მიჩნეულ იქნას ანტიპარტიულ პლატფორმად ანდრე მარტის წერილები და განცხადებანი პოლიტიკური ბიუროსადმი, კერძოდ, 1952 წლის 2 ნოემბრისა და 2 დეკემბრის თარიღით, და ამის გამო დაგმობილ იქნას მათი გავრცელება, რაც უკვე დაიწყო თვითონ ანდრე მარტის.

არ გამოქვეყნდეს ეს წერილები იმის გამო, რომ მათ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მტრის პრესაში ჰპოვონ ადგილი;

ანდრე მარტის საკითხი განსახილველად გადაეცეს პარტიულ ორგანიზაციას, რომელშიც იგი ირიცხება, იმის გამო, რომ პარტიის პრინციპების, პოლიტიკისა და დისციპლინის საწინააღმდეგო მოქმედება, მისი ურთიერთობა პოლიციის ელემენტებთან აყენებს პარტიაში მისი ყოფნის საკითხს;

2. გადაყენებულ იქნას შარლ ტიეინი ყველა ხელმძღვანელი ფუნქციის შესრულებისაგან და მოიხსნას ყველა პოსტიდან პარტიაში, მაშასადამე, გადაყენებულ იქნას პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ფუნქციების შესრულებისაგან, რადგან მან ჩაიდინა სერიოზული შეცდომები და უარი თქვა პატიოსნად და გულწრფელად გაეკრიტიკებინა თავისი საქციელი, როგორც ამას მისგან პარტია მოითხოვს".

მშვიდობის ეროვნული პრემიების გადაცემა ბულგარეთში

სოფია, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშა საგეგნტო იუწყება, გუშინ მოეწყო მშვიდობის ეროვნული პრემიების გადაცემა, რომლებიც მიანიჭა მშვიდობის დაცვის ბულგარეთის ეროვნულმა კომიტეტმა.

პრემიები მიენიჭათ: ნიკოლა ვაპცაროვს (სიკვდილის შემდეგ) წიგნისათვის „რჩეული ლექსები"; მოქანდაკეთა ჯგუფს პროფესორ ივანე ფუნევის მეთაურობით — სკულპტურული ჯგუფისათვის „კორეის მიწაწყალზე"; ნიკოლაზ მარანგოზოვს — მშვიდობის დასაცავად დაწერილი პოეტური ნაწარმოებებისათვის; გიორგი კარასლავოვს — წიგნისათვის „გმირულ კორეაში"; ბოგომილ ნონევს — წიგნისათვის „გამცემლობა".

ერთ სასოფლო საბჭოში

1. მასების სამსახურში

მთების გულიდან ამოცურებულმა მზემ ოქროსფერ ბურუსში გაჭვნა ფერდობებზე შეფენილი სოფლის ბაღ-ვენახები, პლანტაციები.

ღია ფანჯარაში შეიჭრა სამუშაოდ მიმავალ კოლმეურნეთა ხალისიანი სიცილი და სიმღერა.

მაგიდაზე დახრილმა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შოთა კახიძემ თავი აიღო და სიმღერას ყური მიუგდო. ღიმილი შეეპარა. „აი, როგორი სიმღერები იბადება დღეს ხალხში", —გაიფიქრა მან და ფუბლგახსნილმა ისევ განაგრძო ახლადმიღებული ფოსტის დათვალიერება.

კარი დააკაკუნეს. ოთახში კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირი ქრისტეფორე დანგაძე შემოვიდა. თავმჯდომარე წამოდგა, თავაზიანად მიესალმა ახლადმოსულს.

— უმიზეზოდ არ გაირჯებოდი, ქრისტეფორე. რას გვეტყვი ახალს?

— ჩვენმა გამგეობამ მაწყენინა ცოტა, ამხანაგო შოთა,—შესჩივლა აღმასკომის თავმჯდომარეს დანგაძემ.—თამბაქოს ახალ საშრობ ფარდულს რომ აკეთებენ, ძველს სულ აღარ აქცევენ ყურადღებას, აი იმას, გზის პირას რომ დგას. ყავარი ადგილ-ადგილ ჩაემტვრა, ზოგი ხარიხა დაძველდა. ვუთხარი — მომჭირნეობას არ იჩენთ-მეთქი. ეს ძველი ფარდულიც რომ შეკეთდეს, ცუდი არ იქნება, კიდევ გაგვიწევს სამსახურსმეთქი.

— მართალი გითქვამს, — გაუღიმა თავმჯდომარემ, — მერე რა გიპასუხეს?

დანგაძემ თმაზე ხელი გადაისვა და ჩაიცინა.

— რა და, ეს შენი საქმე არ არის, შენს ვაზებს მიხედეო. აბა თუ ჩემი საქმე არ არის, თუ შენი საქმე არ არის, მაშ ვილას შესტკივა გული ჩვენი კოლმეურნეობის სიკეთეზე, ჰა?

— ჰო, ვერ გაუციათ კარგი პასუხი, — შუბლი შეიკრა კახიძემ, — თვითეული კოლმეურნე ვალდებულია თვალისჩინივით გაუფრთხილდეს კოლმეურნეობის ქონებას. კარგი, ქრისტეფორე, მოველაპარაკები კოლმეურნეობის გამგეობის წევრებს.

ცოტა ხნის შემდეგ კახიძე კოლმეურნეობის გამგეობას ეწვია, შემდეგ დათვალიერა თ.ამბაქოს საშრობი ფარდულები, გაესაუბრა კოლმეურნეებს, დაიყოლია ისინი — დღეიდანვე დაეწყოთ თამბაქოს ძველი საშრობი ფარდულის შეკეთებაც.

თავმჯდომარის საქმიანობა მარტო ამ ერთი სოფლის ცხოვრებით: როდი იფარგლება. თავისუფლების სასოფლო საბჭოში ოთხი სოფელი შედის, რომლებიც ორ გამსხვილებულ კოლმეურნეობაშია გაერთიანებული. უამრავი საქმე აქვს კახიძეს აქაც. ამ საქმეებს კაბინეტში ჯდომით ვერ გაართმევ თავს. და საბჭოს თავმჯდომარე შუადღის შემდეგ მეზობელი სოფლებისკენ მიეშურება.

ზემო-იარმუხვისკენ მიმავალი გზა მთაზე გადადის. დაბლა, როგორც ხელის გულზე, მოჩანს ვენახებსა და პლანტაციებში ჩაფლული სოფელი თავისუფლება. მის ქვემოთ სუხუმის თვალწარმტაცი მიდამოებია, ხოლო შორს ლურჯად ლივლივებს შავი ზღვის ლაჟვარდოვანი ზოლი.

სამი წელია, რაც სოფელ თავისუფლების მცხოვრებნი ნებაყოფლობით გადმოსახლდნენ წყალტუბოს რაიონიდან. და რა საყვარელი, რა მშობლიური გახდა უკვე ეს კუთხე. აყვავდა სოფელი თავისუფლება. შარშან რადიო გამოიყვანეს აქ. წელს ელექტრონათურებმა გაანათეს კოლმეურნეთა ახალდაშენებული ორსართულიანი სახლები; 7 ჰექტარზე ვაზი ჩაყარეს, 25 ახალი თამბაქოს საშრობი ფარდული ააშენეს. მაინც რამდენი დარჩა გასაკეთებელი! აგერ აქ, სოფლის ცენტრში, გაისათ კლუბი აიგება, იქ — საავადმყოფო, სოფელ გორანასა და თავისუფლებას შუა ფერმას ააშენებენ. აიგება ახალი სახლები კოლმეურნეთათვის, გამოყვანილ იქნება წყალი. ყველაფერი ეს გათვალისწინებულია სასოფლო საბჭოს ხუთწლიან გეგმაში, რომელიც ჩვენი პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებული დიადი გეგმის სისხლხორცეულ ნაწილს წარმოადგენს.

დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი ბრუნდება სოფლებიდან საბჭოს თავმჯდომარე. სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმა ორივე კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა, წარმატებით დამთავრდა ხორცის, მატყლის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადებაც, შეკეთებულია გზები. კეთილმოწყობილი სკოლები (ისინი სულ ექვსია საბჭოს ტერიტორიაზე) უზრუნველყოფილია ზამთრისათვის შეშით, სრულდება საფინანსო გეგმაც — სასოფლო საბჭოს ბიუჯეტის თვითეული კაპიკი ხალხის კეთილდღეობას ხმარდება.

— სასოფლო საბჭოს არასოდეს არ დაელევა საქმე, — ამბობს შოთა კახიძე, — ხალხი პატივსა გვცემს, გვენდობა, არ გვიმალავს თავის სიხარულს, დარდს, სურვილებს. ამას წინათ გორანადან გვესტუმრნენ კოლმეურნეები. წელს ვერ მოვასწარით: ყველა მოსახლის ბინაში ელექტროშუქის გაყვანა. შემოგვჩივლეს: „რითა ვართ სხვებზე ნაკლები, განა დრო არ არის ჩვენც მოვიშოროთ მამა-პაპური ნავთის ლამპები?". ხალხი უფრო კულტურული გახდა. სამართლიანია მისი მოთხოვნილება. მომავალ წელს არც ერთ სახლს არ დავტოვებთ უსინათლოდ.

ხალხი დიდად აფასებს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს — ქარს არ ატანს დაპირებებსო.

— ხალხი რომ არა, ჩვენ კენჭის გადაბრუნებასაც ვერ შეეძლებთ, — უყვარს ხოლმე თქმა კახიძეს, — ხალხია ჩვენი ძალა. მისი სიტყვა, მისი ნება კანონია ჩვენთვის. სასოფლო საბჭოს 23 დეპუტატი, 5 მუდმივი კომისია, მრავალრიცხოვანი აქტივი — აი ვინ უზრუნველყოფს ჩვენს წარმატებებს.

დღის განმავლობაში თავმჯდომარესთან 15-20 კაცი მაინც მოდის სხვადასხვა საქმეზე. კახიძე ყურადღებით უსმენს ყველას, აძლევს რჩევას, ეხმარება მათ. მისი კაბინეტიდან ადამიანები დამშვიდებულნი და კმაყოფილნი გამოდიან.

კახიძე აქტიურად მონაწილეობს კოლმეურნეობათა ცხოვრებაში. სისტემატურად ესწრება კოლმეურნეთა საერთო კრებებს. ხშირად იწვევს თავისთან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, ბრიგადირებს და მერგოლურებს. თათბირობს მათთან სამეურნეო, კულტურულ თუ საყოფაცხოვრებო საკითხებზე.

ელექტრონათურის შუქი გვიან ღამემდე მოჩანს სასოფლო საბჭოს ფანჯრებიდან. მზის ამოსვლისას ისევ იწყება საქმიანობა ხალხის ბედნიერი და ნათელი ცხოვრებისათვის.

2. სახელმწიფოებრივი საქმე

ს. როგანიანი თავისუფლების სასოფლო საბჭოს ფინაგენტია, და, როგორც რაიონში ამბობენ, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი. დემობილიზაციის შემდეგ, სამამულო ომის მონაწილე, ხუთი ორდენის კავალერი როგანიანი კვლავ შეუდგა თავის საყვარელ საქმიანობას — სოფლის ფინაგენტობას. მას შემდეგ თავისუფლების სასოფლო საბჭო გადასახადების აკრეფისა და ჩაბარების დარგში მუდამ პირველ ადგილზე გამოდის რაიონში.

— ფინანსისტი (ასე უწოდებს თავის თავს როგანიანი), რა თანამდებობაც უნდა ეკავოს მას, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირია. უფინანსისტოდ შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის წარმართვა, მისი ეკონომიკის გაშლა. მით უმეტეს დღეს, როცა

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 9 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 9 დეკემბრის ცნობაში ნათქვამია:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 5 და დაზიანეს 1 თვითმფრინავი.

ფასების შემცირება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ფხენიანი, 9 დეკემბერი. (საკდესი). მუუხედავად ომიანობის დროის სიძნელეებისა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დიდ ზრუნვას იჩენს მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო დღეს აქვეყნებს ცნობას სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში საქონლის ფასების შემცირების შესახებ. სამრეწველო საქონლის ფასები შარშანდელთან შედარებით შემცირებულია 20-30 პროცენტით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები — 20-50 პროცენტით.

გენერალ ნამ ირის პრეტენზია

პეკინი, 9 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეისა და ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა გუშინ ამერიკელებს პრეტენზია განუცხადა იმის წინააღმდეგ, რომ 4 დეკემბერს კუნძულ კოჯედოზე დაჭრეს 11 სამხედრო ტყვე. გენერალმა ნამ ირმა აღნიშნა, რომ ამერიკელებმა სრული პასუხი უნდა აგონ ამ საშინელ დანაშაულისათვის.

ინგლისელ სამხედრო მოსამსახურეთა უნესოებანი სუეცის არხის ზონაში

კაირო, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთები „ალ-აჰბარი“ და „ალ-მისრი“ იუწყებიან, ინგლისელმა ჯარისკაცებმა გუშინ სუეცის მიდამოებში ავტომანქანით გავლისას სროლა აუტეხეს გამვლელთ და მოკლეს ეგვიპტელი აბდელ ლატიფ მუჰამედი. სუეცის გუბერნატორმა მოითხოვა, რომ მკვლელობაში დამნაშავე ინგლისელი ჯარისკაცები დაუყოვნებლივ გადასცენ ეგვიპტის ხელისუფალთ.

თურქეთ-სირიის უთანხმოების გამო

ბეირუთი, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ყოველკვირეული გაზეთი „ას-საფა“ იუწყება, რამდენიმე დღის წინათ თურქეთის მიერ სირიისაგან ალექსანდრეტის სანჯაყის ჩამოცილების მე-13 წლისთავის გამო სირიის უნივერსიტეტის სტუდენტებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს და დიდი დემონსტრაცია მოაწყეს დამასკოს ქუჩებში.

დემონსტრანტები გაიძახოდნენ ლოზუნგებს: „ძირს თურქი რეაქციონერები, რომლებმაც მოახდინეს ალექსანდრეტის „ანექსია!“, „ძირს „ერთობლივი თავდაცვის“ იმპერიალისტური პროექტი!“.

გარდაიცვალა ქენი ლონგე

პარიზი, 9 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ 5 დეკემბერს პარიზში გარდაიცვალა კარლ მარქსის შვილიშვილი ქენი ლონგე, შარლ ლონგესა და ენი მარქსის ქალიშვილი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

მეოთხე კომიტეტში

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკდესი). მეოთხე კომიტეტმა განიხილა საკითხი ეგრეთწოდებულ „ადმინისტრაციულ კავშირთა“ შესახებ, რომლებსაც ქმნიან კოლონიური სახელმწიფოები და რომლებიც ერთიანებენ სამეურვეო ტერიტორიებსა და მათ მოსაზღვრე კოლონიებს. ამ გზით მმართველი სახელმწიფოები არსებითად ცდილობენ დაიპყრონ სამეურვეო ტერიტორიები, ჩარიცხონ ისინი კოლონიური მმართველობის სისტემაში და დაიყვანონ კოლონიების დონემდე, რითაც უხეშად არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და სამეურვეო შეთანხმებებს.

მაგალითად, ინგლისის მთავრობამ ტანგანიკის სამეურვეო ტერიტორია გააერთიანა ინგლისის კოლონიებსა და პროტექტორატებთან — კენიასა და უგანდასთან, ბელგიის მთავრობამ რუანდა-ურუნდის სამეურვეო ტერიტორია ჩარიცხა ბელგიის კონგოს შემადგენლობაში, ხოლო საფრანგეთის მთავრობამ ტოგოს და კამერუნის ტერიტორიები ჩარიცხა ეგრეთწოდებულ „საფრანგეთის კავშირში“ და სხვ.

ადმინისტრაციულ კავშირთა საკითხის განხილვის დროს კომიტეტში გამოსული კოლონიურ სახელმწიფოთა — ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ავსტრალიის წარმომადგენლები ცდილობდნენ გაემართლებინათ თავიანთი მთავრობების უკანონო მოქმედება.

არგენტინის, ჰაიტისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა კანონიერი შინა გამოთქვეს, რომ ასეთი „კავშირების“ შექმნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამეურვეო ტერიტორიების ანექსიის მიზნით და ხელს შეუშლის მათს განვითარებას თვითმმართველობისა და დამოუკიდებლობის მიმართულებით.

კოლონიურ სახელმწიფოთა ანექსიონისტური პოლიტიკა ამხილა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ო. ო. იურანსმა, რომელმაც ცხადყო, რომ „ადმინისტრაციული კავშირებას“ საფართო კოლონიური სახელმწიფოება ახორციელებენ ტერიტორიებზე კოლონიური რეჟიმის შენარჩუნების პოლიტიკას, რაც სავსებით ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, მეურვეობის შესახებ შეთანხმებებსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს. საბჭოთა წარმომადგენელმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ კავშირთა საკითხი ეხება სამეურვეო ტერიტორიებს და მას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ტერიტორიების პროგრესული განვითარებისათვის თვითმმართველობისა და დამოუკიდებლობის მიმართულებით.

საბჭოთა რეზოლუცია შეიცავს რეკომენდაციას მმართველ ხელისუფალთადმი — შექმნან სამეურვეო ტერიტორიებზე ისეთი საკანონმდებლო ორგანოები და მმართველობის ორგანოები, რომლებიც სამეურვეო ტერიტორიებისა და კოლონიების კავშირის საფუძველზე შექმნილი რომელიმე ორგანოსადმი დაქვემდებარებული არ იქნებიან, და ამ მიზნით განახორციელონ საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებანი.

კომიტეტმა 29 ხმით მიიღო რეზოლუციის საბჭოთა პროექტის პრეამბულა. პრეამბულას ხმა მისცეს სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, სირიის, ლიბანის, ბოლივიისა და სხვა დელეგაციებმა. წინააღმდეგ ხმა მისცა 7 დელეგაციამ, მათ შორის ავსტრალიამ, ბელგიამ და დანიამ. კენჭისყრის დროს თავი შეიკავა 15 დელეგაციამ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ბრაზილიისა და სხვ. დელეგაციებმა.

ხედავდნენ რა, რომ რეზოლუციის საბჭოთა პროექტი შეიძლებოდა მიეღო კომიტეტს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა გაძალიერეს თავიანთი ზეგავლენა მათზე დამოკიდებული ქვეყნების დელეგაციებზე და მიაღწიეს მთლიანად საბჭოთა რეზოლუციის უარყოფას.

ამერიკა-ინგლისის უმრავლესობამ მიაღებინა კომიტეტს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრაზილიის რეზოლუციის პროექტი, რომელიც ფაქტიურად იწონებს „კავშირების“ შექმნის უკანონო პრაქტიკას და ვარაუდობს მათს გაფართოებასაც კი.

საბჭოთა დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეშვიდე სესიაზე ა. ი. ვიშინსკი ნიუ-იორკიდან გამოემგზავრა

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკდესი). 9 დეკემბერს ნიუ-იორკიდან მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეშვიდე სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი. ვიშინსკი გააცილეს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სკშეშევსკიმ, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სეკანინოვამ, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციების მეთაურებმა გენერალური ასამბლეის მეშვიდე სესიაზე ა. მ. ბარანოვსკიმ და კ. ვ. კისელიოვმა, სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ვ. ა. ზორინმა, პრესის ბევრმა წარმომადგენელმა და სხვა ოფიციალურ პირებმა.

ამერიკის გაზეთების კორესპონდენტებმა, საგენტოების, სატელევიზიო და რადიომაუწყებელი ცენტრების წარმომადგენლებმა ა. ი. ვიშინსკის მიმართეს თხოვნით ეთქვა რამდენიმე სიტყვა მოახლოებულ დღესასწაულებთან დაკავშირებით. ამ თხოვნის პასუხად ა. ი. ვიშინსკიმ გააკეთა მოკლე განცხადება.

— თუმცა თქვენ მთხოვთ რამდენიმე სიტყვა ვთქვა მოახლოებული დღესასწაულების გამო, — განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, — მაგრამ მე უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა ყოველდღიურობაზე და უწინარეს ყოვლისა გენერალური ასამბლეის მუშაობაზე. გენერალური ასამბლეის, როგორც მშვიდობის ინსტრუმენტის, მუშაობა, — აღნიშნა ა. ი. ვიშინსკიმ, — არადამაკმაყოფილებელი იყო. უკვე ის ფაქტი, რომ გენერალურმა ასამბლეამ კორეის საკითხზე მიიღო რეზოლუცია, რომლის მიზანია არა მშვიდობის მიღწევა, არამედ, პირიქით, ომის განგრძობა, ადასტურებს ამ დასკვნას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა როგორც მშვიდობის ინსტრუმენტი. მას შეუძლია იყოს და კიდეც უნდა იყოს ასეთი. მაგრამ ამჟამად იგი ძალიან შორს არის ამისაგან, რომ იყოს მშვიდობის ინსტრუმენტი. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, საბჭოთა დელეგაცია ყოველ ღონეს ხმარობდა და იხმარს ამისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მშვიდობის ნამდვილი ინსტრუმენტი გახდეს.

დასასრულ ა. ი. ვიშინსკიმ მიულოცა მოახლოებული დღესასწაული ამერიკელ ხალხს, ყველა ძმათ, ვინც მშვიდობას ემხრობა.

ინგლისელი ჯარისკაცების მღელვარება სუეცის არხის ზონაში

ბეირუთი, 9 დეკემბერი. (საკდესი). ეგვიპტის ყოველკვირეული ორგანო „როზა-ელ-იუსეფი“ იუწყება, რომ გასულ კვირაში სუეცის არხი გაიარა ინგლისის საექსკადრო ნაღმოსანმა. ინგლისელმა ჯარისკაცებმა რომ ეს შეატყეს, შეკრიბნენ არხის ნაპირზე და გაიძახოდნენ ლოზუნგებს: „ძირს ომის პოლიტიკა!“, „ჩვენ შინ დაბრუნება გვნდა“.

დემონსტრანტების გასაფანტავად ინგლისის სარდლობამ გაგზავნა სამხედრო პოლიციის რაზმი 200 კაცის შემადგენლობით, მაგრამ რაზმი ჯარისკაცებს შეუერთდა. რამდენიმე ხნის შემდეგ სარდლობამ გაგზავნა სამხედრო პოლიციის ბატალიონი 500 კაცის შემადგენლობით. ბატალიონი გარს შემოერტყა ნაპირზე შეკრებილ ჯარისკაცებს და დაუპატიმრა 1.100 კაცი.

შემდეგ ყოველკვირეული ორგანო აღნიშნავს, რომ ინგლისის ერთ-ერთ ბანაკში, რომელიც ტელ-ელ-ქებირში მდებარეობს, 2 დეკემბერს სროლა ატყდა ინგლისელ ჯარისკაცებს შორის.

ერთიანი, დემოკრატიული გერმანიისათვის!

ბერლინი, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ გერმანიის ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის გამაერთიანებელი მოძრაობის საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანელი ხალხი არასოდეს არ ცრუობს „საერთო ხელშეკრულებას“ და პარიზის ხელშეკრულებას, რადგან ისინი საფრთხეს უქმნიან ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. უფრო მეტიც, გერმანელ ხალხს თავის ეროვნულ მოვალეობად მიაჩნია მთელი ძალღონით იბრძოლოს ამ ხელშეკრულებათა განხორციელების წინააღმდეგ.

გერმანიის გამაერთიანებელი მოძრაობის საბჭო მოითხოვს დაუყოვნებლივ დაიწყოს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკება სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობის შესახებ.

ამ განცხადებას ხელს აწერენ ყოფილი რაიხსკანცლერი ვირტი, ყოფილი ბურგომისტრი ვილჰელმ ელფესი, ბუნდესტაგის დეპუტატი გრეტა ტალე და დასავლეთ გერმანიის ბევრი სხვა გამოჩენილი მოღვაწე.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის შედეგები

პეკინი, 9 დეკემბერი. (საკდესი). ჩინეთის პრესა აჯამებს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის შედეგებს, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. გაზეთი „ჟენმინ-ჟიბაო“ იუწყება, რომ ერთთვიურში მონაწილეობდა ასეულ ათასობით პროპაგანდისტი, მარტო ხებეისა და ძიანსუს პროვინციის სასოფლო რაიონებში ერთთვიურის მოწყობაში მონაწილეობდა 900 ათასზე მეტი პროპაგანდისტი. მთელ ჩინეთში იმართებოდა მიტინგები და კრებები, მოხსენებები და საუბრები, ფოტო-გამოფენები საბჭოთა კავშირის შესახებ, უჩვენებდნენ კინოფილმებს. მთელმა ამ მუშაობამ ხელი შეუწყო ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისათვის მოძრაობის კიდევ უფრო ფართოდ განვითარებას და იმას, რომ ხალხის ფართო მასებს გაეცნოთ საბჭოთა ხალხის წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

დიდი წარმატება ჰქონდა საბჭოთა კინოფილმებს. არასრული ცნობებით, ჩინეთის 67 ქალაქში, სადაც საბჭოთა კინოფილმების ფესტივალი გაიმართა, მაყურებელთა რაოდენობა 40 მილიონს გადაჭარბა. უხანში გაიმართა 1.400-ზე მეტი მოხსენება, რომლებიც 540 ათასმა კაცმა მოისმინა. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩინეთის ყველა ეროვნული რაიონის მოსახლეობამ.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერთთვიურის დროს კიდევ უფრო ძლიერ გაჩაღდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში საბჭოთა მოწინავე გამოცდილების შესწავლა. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურმა დიდი აღმავლობით ჩაიარა ტიანძინში. ერთთვიურის დაწყებიდან 6 დეკემბრამდე, იუწყება გაზეთი „ტიანძინჟიბაო“, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებაში შევიდა 120 ათასზე მეტი კაცი. ერთთვიურის განმავლობაში ტიანძინის 1.300 ათასამდე მცხოვრებმა ნახა საბჭოთა კინოსურათები. ფაბრიკა-ქარხნების შუშა-მოსამსახურეებმა ვალდებულება იკისრეს შეისწავლონ და დანერგონ შრომის საბჭოთა მოწინავე მეთოდები. ტიანძინის ფოლადსამსხმელო ქარხნის მუშებმა ოქტომბრის 35-ე წლისთავისათვის შეასრულეს წლიური დავალება და ახლა ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ დავალების მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საგაფიცვო მოძრაობა ინლანდიაში

ოსლო, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ნორვეგიის დეპეშათა ბიურო იუწყება, გაფიცვა ისლანდიაში გაფართოვდა და 33 პროფკავშირული ორგანიზაცია მოიცვა.

რეიკიავიკის ნავსადგურში შეჩერებულია მთელი მუშაობა, და თანდათანობით დაგროვდა გემები, რომლებიც გადმოტვირთვას ელიან.

ოპერისა და ბალეტის თეატრის ბიბლიოთეკა

თბილისი. სკოლის ახალი შენობა ინდუსტრიალიზაციის ქუჩაზე.

ფოტო შ. ნუნეტიანისა.

საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატი

მერვე ტური

9 დეკემბერს რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში გაიმართა სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის მე-8 ტური.

ოსტატურად ეწოდა მანევრულ ბრძოლას გერერი ბოლესლავსკის წინააღმდეგ. 44-ე სვლაზე გელერმა აიძულა მოწინააღმდეგე დაეთმო პარტია.

ბოტვინიკ-კერესის პარტიაში კერესმა 37-ე სვლაზე შეწყვიტა წინააღმდეგობა. ლენინგრადელმა ოსტატმა ტოლუშმა დამარცხება განიცადა პარტიაში სმაგინის წინააღმდეგ. სმისლოვ-ბივშევის პარტია გადადგა. ლიბინციკმ გამარჯვებას მიაღწია პარტიაში სუეტინის წინააღმდეგ. არონინი დანებდა ტაიმანოვს.

მოისეევ-კორჩნოის, ბრონშტეინ-გოლდენოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ილეიციკი-კასპარიანისა და კონსტანტინოპოლსკი-კანის შეხვედრები დაუმთავრებელი დარჩა. (საკდესი).

შეჯიბრება თავისუფალ ჰიდაობაში

ბაქო. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). შეჯიბრების მესამე დღეს, 9 დეკემბერს, გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრები. 16 შეჯიბრებიდან საქართველოს სპორტსმენებმა მოიგეს 10. გამარჯვება მოიპოვეს—ბ. მაისურაძემ, დ. ცომაკურიძემ, ვ. გიგიაძემ, ნ. მუზაშვილმა, ვ. ილურიძემ და სხვ.

მეორე დამარცხება განიცადეს და საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლთა რიგებიდან გამოვიდნენ უმჩატეს წონაში—მ. ცალეკლამანიძე, საშუალო წონაში—გ. როსტაშვილი, ქვემძიმე წონაში — ვ. თედეევი, მძიმე წონაში—ვ. ლაფაური.

ამრიგად, სამი კალენდარული შეხვედრის შემდეგ საქართველოს მოჰიდაველებიდან დაუმარცხებლად იბრძვიან: ა. მაისურაძე (უმჩატესი წონა), ვ. გიგიაძე (მჩატე წონა), ნ. მუზაშვილი და ზ. დენტოშვილი (ქვემსუბუქი წონა), ვ. ილურიძე (მსუბუქი წონა), ვ. ბალავაძე (ქვესაშუალო წონა), შ. მდინარაძე და ო. შინჯიკაშვილი (მძიმე წონა).

საკავშირო გუნდური პირველობა კრივში

მოსკოვი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 9 დეკემბერს მოსკოვში გრძელდებოდა შეჯიბრება კრივში საბჭოთა კავშირის 1952 წლის გუნდური პირველობისათვის. მოსკოვისა და საქართველოს გუნდების შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით, რომლებმაც 10 წონითი კატეგორიიდან მოიგეს 6 შეჯიბრება და 4 წაგეს.

საქართველოს გუნდის წევრებიდან გამარჯვება მოიპოვეს: გივი დარბაისელმა, კალაჯევმა, მიქაელიანმა და ზუბაშვილმა.

კინოთეატრის მშენებლობა

თბილისის კომუნარების სახელობის ბაღში გამოყოფილია ნაკვეთი და დაწყებულია მუშაობა საზაფხულო კინოთეატრის ასაშენებლად. კინოთეატრი დაიტევს 650 მაყურებელს. პროექტს ავტორია არქიტექტორი ე. ეუკოვსკი.

მშენებლობას საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სამინისტროს დაკვეთით აწარმოებს „თბილმშენი“. სულ დაიხარჯება 300 ათასამდე მანეთი. კინოთეატრი მზად იქნება მომავალი წლის ზაფხულის სეზონისათვის.

ოპერისა და ბალეტის თეატრის ბიბლიოთეკა

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი მუშაობს ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ახალ დადგმის მოსამზადებლად.

ოპერას დგამს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. თუმანიშვილი, დეკორაციებს წერს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ს. ვირსალაძე, დირიჟორი—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. დიმიტრიადი.

თეატრის ახალგაზრდა მუშაკებს — რეჟისორ გ. გელოვანს და დირიჟორ ზ. ხუროძეს დაევალა ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის ოპერის „მეფის საცოლის“ კაპიტალური განახლება. ეს ოპერა დიდი ხანია არ დადგმულა თბილისში. წინანდელ შემსრულებლებთან ერთად პარტიებს ამზადებენ ახალგაზრდა მომღერლები—ნ. მიქელაძე, ა. ციქაბერიძე (მართა), ლ. გიორგაძე, ე. ხოჯაკაძე (ლიუბაშა), ზ. ანჯაფარიძე (ლიკოვი), შ. ვაშალომიძე, გ. ტორონჯაძე (ბომელი), ა. ბირკუსი, პ. თომაძე (სობაკინი), ტ. მალიშევა და ც. ციცქიშვილი (დუნიაშა). სპექტაკლის დადგმა განზრახულია დეკემბრის ბოლო რიცხვებისათვის.

ახალი ამბები

○ თბილისში კომბინის ქუჩაზე საეფსპლოატაციოდ გადაეცა ახალი 3-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ეკუთვნის სატყეო მეურნეობის სამინისტროს მუშა-მოსამსახურეებს.

○ საპურთალოში, კომინტერნის ქუჩაზე, ორი 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაგებად თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა „საქმშენს“ გამოუყო მიწის ნაკვეთი.

○ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს გამოუყო 189 ათასი მანეთი სასახლესთან არსებული კულტურისა და დასვენების პარკის რეკონსტრუქციისათვის.

○ მიმდინარე წლის 10 თვეში თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტში სამკურნალო აბაზანები მიიღო 10.450-მდე მშრომელმა. წარმოებს მუშაობა სამკურნალო გოგირდოვანი წყლების დებიტის გადიდებისათვის.

○ ქარელის რაიონის სოფლების ზღუდერისა და დირბის კოლმეურნეობებში დამთავრდა ახალი საკოლმეურნეო კლუბების მშენებლობა.

○ დიდი სამუშაოები მიმდინარეობს კურორტ წყალტუბოს გასამწვანებლად. წლის ბოლომდე აქ დარგულ იქნება 600 ხე, 500 ბუჩქი და 170 ათასი ძირი ყვავილი. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რკინიგზისა და ავტომტრანსპორტის სადგურთან სკვერების გაშენება.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი.

ერთ სასოფლო საბჭოში

(დასასრული)

მავლის შექმნაში, — და გადასცემს რა მკითხველს გაზეთში ფაქიზად გახვეულ წიგნს, სთხოვს თვალისჩინივით მოუაროს მას.

— ჩვენი ბიბლიოთეკისათვის ამ ხუთწლეულში საუკეთესო შენობას ავაგებთ, — ამბობს კოპალიანი, — წიგნებიც ბევრი დაგვჭირდება. რაიონიც უფრო მეტად უნდა დაგვეხმაროს წიგნების შეძენაში. ხალხს უყვარს კითხვა, თხოულობს საინტერესო წიგნებს, ასეთები კი ჩვენ ცოტა გვაქვს.

დიახ, ამხანაგებო, უნდა დავეხმაროთ კოპალიანს — წიგნი ხომ ადამიანის ერთგული მეგობარი და თანაშემწეა.

4. ფოსტალიონი

როგორც კი გამოჩნდება ხოლმე სოფელში ფოსტალიონი მიხეილ ჯიმშელეიშვილი ‹ურნალ-გაზეთებითა› და წერილებით გატენილი ჩანთით, ბაღებიდან, ვენახებიდან თუ ეზოებიდან ერიამულით გამორბის მისკენ ახალგაზრდობა, მოისწრაფვიან მოხუცები.

— მიხეილი მოვიდა!

— გაზეთები მოიტანეს, გაზეთები!

და ეს პატარა ტანის კაცი, ეშმაკურად მოციმციმე თვალებზე ჩამოწოლილი წარბებითა და კეფაზე მოქცეული ქუდით, ღიმილით უნაწილებს სუხუმიდან ამოტანილ ფოსტას გარსმოხვეულ ხალხს.

საამაყოა მოუტანო ადამიანებს ამდენი ახალი ამბები.

აი, კოლმეურნე ვერა კუჭავამ გულში ჩაიკრა ტყვარჩელიდან მიღებული თავისი ვაჟის წერილი და სახლისაკენ გაეშურა. მელანო კოპალიანის სახელზეც მოვიდა წერილი. მისი ვაჟი თბილისში, ტექნიკუმში სწავლობს. მელანომ იქვე გახსნა კონვერტი და ღიმილით აყოლებს თვალს სტრიქონებს.

ყველაზე დიდი სიხარული მაინც გაზეთებმა გამოიწვია.

გაზეთები უცებ დაიტაცეს. დარჩა კიდევ ასოდე ცალი მეზობელი სოფლისათვის. ფოსტალიონი ახლა იქითკენ მიიჩქარის. ხალხს დროზე უნდა მიაწოდოს გაზეთები, ჟურნალები, წერილები.

— დღეის გაზეთები თუ დღესვე არ წააკითხე ხალხს, აბა რაღა ფასი ექნება ფოსტალიონის მუშაობას, — იტყვის ხოლმე მიხეილი.

გზადმიმავალმა მოწინავე კოლმეურნის პილა ქობალიას ეზოსკენ შეუხვია. ქობალიას ვაჟი ოთარი ლენინგრადში სწავლობს. დედა მოუთმენლად ელოდება ფოსტალიონის გამოჩენას. ზოგჯერ წერილი აგვიანებს. რამდენჯერ უნუგეშია დედა გულკეთილ ფოსტალიონს. ახლა კი ოთარის წერილი ხელში უჭირავს და მიხეილი შორიდანვე უქნევს ქობალიას ნაცრისფერ კონვერტს.

— ხომ გითხარი, მალე მიიღებ-მეთქი, — აწვდის შვილის ბარათს უზომოდ გახარებულ დედას. — აჰა გაზეთიც, შიგ საინტერესო ამბებია დაბეჭდილი.

დღეში თითქმის 20 კილომეტრის გავლა უხდება მიხეილ ჯიმშელეიშვილს. თავისუფლების სასოფლო საბჭოში წერილები არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოდის, არამედ საბჭოთა კავშირის შორეული ქალაქებიდანაც. ამას გარდა, კოლმეურნეებს 300-მდე ჟურნალი და გაზეთი აქვთ გამოწერილი. და პაპანებასა თუ სიცივეში, ქარსა თუ წვიმაში ჯიმშელეიშვილიც მტკიცედ დგას თავის პოსტზე, დროულად აწვდის სოფლებს ფოსტას, დაუზარებლად მიაქვს ადამიანებთან ჩვენი ვრცელი სამშობლოს ამბები, აღფრთოვანება, იმედი.

— ფოსტალიონისათვის უამინდობა არ არსებობს, — ამბობს მიხეილი, — ადრესატს დროზე უნდა ჩააბარო წერილი თუ გაზეთი.

და იგი, კმაყოფილების გრძნობით აღსავსე, კვლავ მიაბიჯებს ვენახებზე, ბაღებზე, პლანტაციებზე, ამწვანებულ კორდებზე გავლით სოფლებისაკენ. მას მოუთმენლად ელოდებიან ყველგან. ამ მოლოდინის გამართლება ფოსტალიონის სახელმწიფოებრივი მოვალეობაა.

* * *

ასეთ შინაარსიან ცხოვრებასა და შემოქმედებით შრომაში იწურება დღე. და ყოველთვის, ყოველდღიურ საქმიანობაში ვლინდება თავისუფლების სასოფლო საბჭოს ის წარმმართველი როლი სოფლის ცხოვრებაში, რაც ასე სრულყოფილად გამოხატავს მასების ნებას და ასე ტიპიურია საბჭოთა საზოგადოებისათვის, რომლის ძლევამოსილი წინსვლის გზა კომუნიზმისაკენ დიდი სტალინის გენიით არის განათებული.

ა. კუსრაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

საქართველოს რადიოგადაცემათა 12 დეკემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — კომპოზიტორ ბლანტერის სიმღერები; 09.20 — ქართული ხალხური სიმღერები; 11.00 — „პიონერთა დაფითნე“; 12.15 — ნაწყვეტები ვერდის ოპერებიდან; 12.45 — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით; 17.15 — გადაცემა სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსების მსმენელთა დასახმარებლად — „ხეხილის ბაღების აგროტექნიკა“ (რადიოსადგურებით), ბულგარული და კორეული სიმღერები (თბილისის საქალაქო ქსელით); 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — რადიოკომპოზიცია „ხალხთა მშვიდობისათვის“; 18.15 — დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა მუსიკა; 19.20 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.45 — გადაცემა მრეწველობის მუშაკთათვის. **რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 20.30 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის (რადიოსადგურებით), კომპოზიტორ შოპენის საფორტეპიანო მუსიკა (თბილისის საქალაქო ქსელით); 20.45— ქართული ხალხური სიმღერები; 21.00 — კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომების შემსწავლელთა დასახმარებლად — ლენინის ნაშრომი „რა გაკეთოთ?“; 21.30 — საცეკვაო მუსიკა; 22.50 — ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, მიძღვნილი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის გახსნისადმი; 00.05— ნაწყვეტები რ. ვსკი-კორსაკოვის სიუიტიდან „შეჰერეზადა“.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

11 დეკემბერს	დ. თორაძე — **გორდა**
12 დეკემბერს	ჯ. ვერდი — **ტრავიატა** (ზ. სტარჩენკოს მონაწილეობით)

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ხეკისბერი გოჩა; **მარჯანიშვილის სახელობის** — სასტუმროს ღიასახლისი; **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერ სიცრუეთა დღე (აბონემენტი 25, 26); **სომხური დრამის**—ვაგიფი; **მუსიკალური კომედიის** — ერთხელ გაზაფხულზე; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი 40, 6 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — გიმნაზიელები (6 ს. 30 წ.); **თოჯინების ქართული** — ამპარტავანი კურდღელი (10 ს.); **სანიტარული კულტურის** — გოჩა მინდიაური.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, სპარტაკი, ოქტომბერი, კომკავშირელი, ისანი—„რევიზორი“.

სიმამრი სევერიანე, სიდედრი ნადია, ცოლისძმები ილია, გრიგოლ, გალაქტიონ, რძლები ნინო, თინა, თამარ სტურუბი, სიძე დ. გოგუაძე. ოჯახით იუწყებიან **სიმონ პეტრეს-ძე შენგელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-XII კულაშში.

მეუღლე ელისაბედ, შვილები ლილი, ქსენია, მარგალიტა, ბორის, ალექსანდრე, ივანე, დავით ოჯახით იუწყებიან **ალექსანდრე კოხტას-ძე გვიჩიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-XII, 4 ს. ქ. ფოთში, გამოსვენება ბინიდან, სვანეთის ქ. № 13.

დედა გალ